[library stamp]

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 18 მაისი, 1945 წ. № 97 (7812). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

აგიტატორი სოფლად. მოწინავე (1-ლი გვერდი).
მოსკოვი, კრემლი. იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს (1-ლი გვერდი).
მოსკოვი, კრემლი. უმაღლეს მთავარსარდალს საბჭოთა კავშირის მარშალს ამხანაგ სტალინს. ძლევამოსილი წითელი არმიის მარშლებს, გენერლებს, ოფიცრებს, სერჟანტებს, მებრძოლებს (1-ლი გვერდი).
ლენინ-სტალინის პარტია ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია. „პრავდის" მოწინავე (მე-2 გვერდი).
საბჭოთა კავშირის გმირი ვლადიმერ ივანეს-ძე პაპიძე (მე-2 გვერდი).
საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი (მე-2 გვერდი).
გამოცდილების ტრიბუნა — როგორ აღწევს წარმატებას ტრაქტორისტი გ. ბანეთიშვილი (მე-3 გვერდი).
კომბინატ საქართველოს ქვანახშირის ტრესტების შეჯიბრება (მე-3 გვერდი).
საერთაშორისო თემაზე — „იზვესტიას" სარედაქციო სტატია (მე-3 გვერდი).
გრიგოლ ბელქანია — სიმღერა ბელადზე (მე-3 გვერდი).
ბიბლიოგრაფია — ორი სახელმძღვანელო (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები. დეპეშები. (1-ლი და მე-4 გვერდი).

აგიტატორი სოფლად

აგიტატორი საკოლმეურნეო სოფელში თვალსაჩინო ძალაა. მის ნაყოფიერ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული სოფლად კულტურულ-მასობრივი მუშაობის გაძლიერება, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმატებით ჩატარება.

აგიტატორი მართალი ბოლშევიკური სიტყვით, პირადი მაგალითით რაზმავს და აღაფრთოვანებს საკოლმეურნეო სოფლის მასებს ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად. მას ბოლშევიკური სიმართლე, ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებათა აზრი მიაქვს მასებთან; იგი ახალ ამბებს მიმზიდველად მოუთხრობს მსმენელებს, კოლმეურნეებს განუმარტავს მათ როლსა და ამოცანებს.

აგიტატორი თავის ცოდნას გამოცდილებასთან ერთად გადასცემს მსმენელებს, ეხმარება მათ დაკისრებული მოვალეობის წარმატებით შესრულებაში.

ამიტომ არის, რომ მოწინავე, თავის საქმეს დაუფლებული აგიტატორი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობს კოლმეურნეთა შორის.

ამიტომ არის, რომ კარგ აგიტატორს მასები ნდობით ეკიდებიან, ასრულებენ მის სიტყვებს.

ამიტომ არის, რომ აგიტატორის სახით მასები ხედავენ მოწინავე საბჭოთა პატრიოტს, რომელიც ხალხის საკეთილდღეო საქმეს აკეთებს, ხელს უწყობს საერთო წარმატებას.

თუ აგიტატორი კარგად არის დაუფლებული აგიტაციის ხელოვნებას, პასუხისმგებლობით ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას, წინასწარ ემზადება საუბრისათვის, იყენებს თვალსაჩინოებას, თავის საუბარს უკავშირებს კონკრეტულ საბრძოლო ამოცანებს, მუდამ იმაღლებს საკუთარი ცოდნის დონეს — მის მუშაობას ყოველთვის კარგი შედეგი მოსდევს, მას ყოველთვის აქვს წარმატება.

აგიტაცია — ხელოვნებაა, მისი ფორმები და მეთოდები მრავალფეროვანია. აგიტატორი ვალდებულია იცნობდეს, ფლობდეს მათ, იყენებდეს თავის მუშაობაში.

კარგი მუშაობის მაგალითს იძლევიან ტყიბულის რაიონის ახალსოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის აგიტატორები თ. რიჟამაძე და დ. ქათამაძე. იმ ბრიგადაში, სადაც აგიტატორად თ. რიჟამაძეა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები სანიმუშოდ ჩატარდა. კოლმეურნეობის ერთ-ერთი ბრიგადა ჩამორჩენილი იყო. ამ ბრიგადას გამოუყვეს აგიტატორად კომკავშირელი დ. ქათამაძე. აგიტატორმა მუშაობის დაწყებისთანავე მტკიცე კავშირი დაამყარა ბრიგადის ხელმძღვანელთან, შეისწავლა ჩამორჩენის მიზეზები. იგი გაეცნო გეგმას, თითეულ კოლმეურნეს. თავისი საუბრები მან მჭიდროდ დაუკავშირა ბრიგადის საბრძოლო ამოცანებს, ბრიგადის წევრებს გააცნო მოწინავეთა გამოცდილება. აგიტატორი დაეხმარა ჩამორჩენილებს. ყოველივე ამან კარგი შედეგი გამოიღო. ბრიგადა მოწინავეთა რიგებში ჩადგა.

ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

აგიტატორი უნდა ცდილობდეს, დანერგოს მოწინავეთა გამოცდილება, გააჩაღოს სოციალისტური შეჯიბრება, ხელი შეუწყოს და დაეხმაროს თავისი ბრიგადისა თუ რგოლის წევრებს მიაღწიონ წარმატებას.

მაგრამ იმისათვის, რომ აგიტატორმა თავი გაართვას დაკისრებულ მოვალეობას, სანიმუშოდ შეასრულოს თავისი ამოცანა, საჭიროა თვით მას ვეხმარებოდეთ და მისთვის ვზრუნავდეთ. აგიტატორი მტკიცედ უნდა იყოს დაკავშირებული აგიტკოლექტივთან, რომელიც მას ეხმარება სააგიტაციო მუშაობის ფორმებისა და მეთოდების შესწავლაში. აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი ვალდებულია ახლოს იცნობდეს აგიტატორებს, ეხმარებოდეს მათ პოლიტიკური საუბრების დაკავშირებაში კოლმეურნეობის ამოცანებთან, აწყობდეს აგიტატორთა გამოცდილების ურთიერთ გაზიარებას. სწორედ ასე ესმის თავისი მოვალეობა გორის რაიონის სოფელ ხიდისთავის აგიტკოლექტივის ხელმძღვანელს ამხ. მ. მუკნიაშვილს. იგი კარგად ხელმძღვანელობს აგიტკოლექტივს, ნამდვილად ზრუნავს აგიტატორთა თეორიული დონისა და ოსტატობის ასამაღლებლად, სემინარზე ისმენს მოწინავე აგიტატორთა მოხსენებებს მათი გამოცდილების შესახებ და ახდენს ამ გამოცდილების განზოგადებას. აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი თვითონ ესწრება აგიტატორთა საუბრებს, უთითებს მათ, თუ რა იყო კარგი საუბარში, რა ნაკლი ჰქონდა და როგორ შეიძლება მისი გამოსწორება. ამ გზით მან ბევრი აგიტატორი დააწინაურა და ბევრს შეასწავლა აგიტაციის ხერხები.

აგიტატორებისადმი მზრუნველობა, დახმარება და ხელმძღვანელობა პირველადი პარტიული ორგანიზაციების პირდაპირი მოვალეობაა. როცა პარტიული ორგანიზაციის მდივანი კარგად ეხმარება და ხელმძღვანელობს აგიტატორებს, მუშაობაც წარმატებით მიმდინარეობს. პირველადი პარტიული ორგანიზაცია თავის კრებაზე პერიოდულად უნდა ისმენდეს სააგიტაციო მუშაობის საკითხებს, აგიტატორებს აძლევდეს მითითებებს და ეხმარებოდეს თემის შერჩევა-დამუშავებაში, ხელმძღვანელობდეს მოძრავი ბიბლიოთეკის მოწყობას, აგიტკოლექტივის ნაყოფიერ მუშაობას, საველე და კედლის გაზეთების გამოშვებას. პარტიული ორგანიზაცია უნდა ეხმარებოდეს და ხელს უწყობდეს აგიტატორთა ინიციატივის წარმატებას.

რამდენი კარგი საქმის გაკეთება შეუძლიათ აგიტატორებს თავიანთი ინიციატივით!

აი ერთი მაგალითი:

გორის მტს-ში ინიციატივა გამოიჩინა აგიტატორმა-მექანიკოსმა. მან წინადადება შეიტანა ადგილობრივ მოწყობილიყო კბილანას დამზადება. ამ ინიციატივის საფუძველზე სახელოსნომ საკუთარი საშუალებებით 50-მდე სხვადასხვა დეტალი დაამზადა. გარდა ამისა, ადგილობრივად რესტავრირებულ და დამზადებულ იქნა გეგმაზე ერთნახევარჯერ მეტი სატრაქტორო ნაწილები.

თუ აგიტატორს დავეხმარებით და ხელს შევუწყობთ, წინ წავწევთ სააგიტაციო მუშაობას.

ამიტომ პარტიის რაიკომები აგიტაციის საკითხებს პერიოდულად უნდა ისმენდნენ და იხილავდნენ ბიუროს სხდომებზე, სახავდნენ ღონისძიებებს შემჩნეულ ნაკლთა გამოსასწორებლად, ღებულობდნენ ზომებს მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. აგიტაციისა და პროპაგანდის სანიმუშოდ დაყენება პარტიული ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანას წარმოადგენს.

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი ძლევამოსილად დამთავრდა. ეს ახალ ამოცანებს უყენებს სოფლად მომუშავე აგიტატორებს. საკოლმეურნეო სოფელში ფართოდ გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება, საგაზაფხულო სამუშაოების წარმატება საფუძველს უყრის 1945 წელს უხვი მოსავლის მიღებას. ამ საქმეს მთელი ძალები უნდა მოანდომონ სოფლად მომუშავე აგიტატორებმა.

ახლა, როცა დიდი **სტალინის** ბრძნული მხედართმთავრობით წითელმა არმიამ მოკავშირეთა არმიებთან ერთად შემუსრა ჰიტლერული ტირანია, ბოლო მოუღო ფაშისტ მხეცს, კოლმეურნე გლეხობა თავის უწმიდეს მოვალეობად სთვლის კიდევ უფრო გააძლიეროს ქვეყნისადმი დახმარება, მოიყვანოს უხვი მოსავალი. ამ დიდ საყოველთაო-სახალხო საქმეში აგიტატორების როლი მეტად თვალსაჩინო და საპასუხისმგებლოა. მათ ეს როლი წარმატებით უნდა შეასრულონ, როგორც სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტებმა.

ამხანაგ სტალინის გამოსვლები ჩაწერილია გრამოფონისათვის

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის ბგერწერის სახლმა ფირფიტებზე ჩასწერა ამხანაგ სტალინის ორი გამოსვლა — წითელი არმიისა და მოკავშირეთა ჯარებისადმი 1945 წლის 27 აპრილის მიმართვა გერმანიის ტერიტორიაზე საბჭოთა კავშირისა და ინგლის-ამერიკის ჯარების შეერთების გამო და ხალხისადმი მიმართვა 1945 წლის 9 მაისს—გამარჯვების დღეს. შვიდ სხვა ფირფიტასთან ერთად, რომლებზეც თავის დროზე ჩაწერილ იქნა ამხანაგ სტალინის მოხსენება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავის შესახებ, ორი ახლად გამზადებული ფირფიტა შევა სპეციალურ ალბომში, რომელსაც უშვებს ხელოვნების საქმეთა კომიტეტი.

ამჟამად აპრელევკის ქარხანაში მზადდება გრამოფონის ფირფიტების პირველი პარტია. ალბომი 5 ათას ცალად გამოდის. (საკდესი).

მომღერალ პ. ამირანაშვილის გასტროლები მოსკოვში

(მოსკოვი, „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან)

16 მაისს სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის ფილიალში შედგა გასტროლი საქართველოს სახალხო არტისტ პ. ამირანაშვილისა, რომელიც ასრულებდა რიგოლეტოს როლს ვერდის ამავე სახელწოდების ოპერაში. ამირანაშვილის პირველი გამოსვლა დიდი თეატრის სცენაზე თვალსაჩინო წარმატებით მოხდა. მსმენელები მხურვალედ მიესალმნენ ნიჭიერ არტისტს და ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვს. ამირანაშვილმა მთელი პარტია დიდი ოსტატობით შეასრულა. მისი წარმატება გაიზიარეს არტისტმა ჩეკინმა, რომელიც ასრულებდა მანტუის ჰერცოგის როლს, და სოლისტმა რაჩევსკაიამ ჯილდას როლში. ოპერას დირიჟორობდა კონდრაშინი. ოპერა დადგა რეჟისორმა შარაშიძემ.

მოსკოვი, კრემლი

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

ბელორუსი ხალხი უდიდესი აღტაცებით შეხვდა ცნობას იმის შესახებ, რომ გამარჯვება მოიპოვეს სახელოვანმა საბჭოთა არმიებმა, რომლებსაც თქვენ წინამძღოლობდით დიდ სამამულო ომში. ჰიტლერული გერმანიის განადგურება, მისი სრული და უსიტყვო კაპიტულაცია — ეს მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება საუკუნეობით დარჩება როგორც აპოთეოზი საბჭოთა ხალხის დიადი განმათავისუფლებელი ბრძოლისა და ჩვენი სამართლიანი საქმის ზეიმისა. ეს გამარჯვება იმას მოასწავებს, რომ ბოლო მოეღო გერმანელი მილიტარისტების ავაზაკურ შემოსევას აღმოსავლეთში, გერმანელი მილიტარისტებისა, რომლებსაც აურაცხელი ტანჯვა და უბედურება მოჰქონდათ ბელორუსი ხალხისათვის. უკანასკნელი სამი ათეული წლის მანძილზე ბელორუსმა ხალხმა სამჯერ განიცადა გერმანელ დამპყრობთა ავაზაკური თავდასხმა. თქვენი მოწოდებით, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, ამ დიდ სამამულო ომში ბელორუსი ხალხი აღსდგა წმიდა ბრძოლისათვის თავისი საუკუნეობრივი მტრების — გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ვერც ქალაქების ბარბაროსულმა ნგრევამ, ვერც მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივმა ჟლეტამ, ვერც გერმანიის მონობაში ათასობით ადამიანის გარეკვამ ვერ გასტეხა თავისუფლებისმოყვარე ბელორუსი ხალხის ნებისყოფა. ასიათასობით ბელორუსი იბრძოდა წითელი არმიის რიგებსა და პარტიზანულ რაზმებში გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა ძმური დახმარებით, გმირი წითელი არმიის ღონისძიებათა მეოხებით ბელორუსიის მიწა-წყალი განთავისუფლებულ იქნა გერმანელ დამპყრობთაგან.

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

ჯერ კიდევ ომის დასაწყისში თქვენ სთქვით: „ჩვენი საქმე სამართლიანია, — გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება". თქვენი წინასწარმეტყველური სიტყვები სავსებით ახდა. ჩვენმა მამაცმა წითელმა არმიამ, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ, მთელი საბჭოთა მიწა-წყალი გაათავისუფლა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან, გამარჯვების დროშა ააფრიალა ბერლინში და ჩვენი მოკავშირეების არმიების მხარდამხარ ბრძოლით გაანადგურა ფაშისტური გერმანია და სრულ და უსიტყვო კაპიტულაციამდე მიიყვანა იგი. ეს გამარჯვება მოასწავებს ლენინურ-სტალინური იდეოლოგიის გამარჯვებას ფაშიზმის რეაქციულ კაცთმოძულეობის იდეოლოგიაზე. დაიწყო განვითარების მშვიდობიანი პერიოდი.

გერმანელ დამპყრობლებზე გამარჯვებისადმი მიძღვნილ მრავალრიცხოვან კრებებსა და მიტინგებზე სოფლებში, ქალაქებში, კოლმეურნეობებსა და დაწესებულებებში შრომისმოყვარე ბელორუსი ხალხი პირობას გაძლევთ თქვენ, ამხანაგო სტალინ, რომ ყოველნაირად ეცდება და ყოველ ღონეს იხმარს, რათა უმოკლეს ვადაში მოაშუშოს მეურნეობისა და კულტურისათვის მიყენებული ჭრილობები, პირნათლად შეასრულოს მშვიდობიანი მშენებლობის ამოცანები.

წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებათა და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა დახმარების მეოხებით საბჭოთა ბელორუსია განთავისუფლებული და აღდგენილია როგორც სახელმწიფო და ღირსეული ადგილი დაიკავა მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხთა შორის. საბჭოთა ბელორუსია სხვა ერებთან ერთად მოწოდებულია გადასწყვიტოს მშვიდობიანობისა და უშიშროების ურთულესი საკითხები.

დიადი გამარჯვების დღეებში მთელი ბელორუსი ხალხის სახელით მოგილოცავთ და მხურვალე მადლობას გიძღვნით თქვენ — მეგობარს, ბელადსა და მასწავლებელს.

გაუმარჯოს ჩვენს გამარჯვებას!
გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ საბჭოთა სამშობლოს!
გაუმარჯოს ძლევამოსილ წითელ არმიას!
გაუმარჯოს ჩვენს ამხანაგ სტალინს!

ბელორუსიის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ნატალევიჩი

ბელორუსიის სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე პ. პონომარენკო

ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. კისელიოვი

მოსკოვი, კრემლი

უმაღლეს მთავარსარდალს საბჭოთა კავშირის მარშალს ამხანაგ სტალინს ძლევამოსილი წითელი არმიის მარშლებს, გენერლებს, ოფიცრებს, სერჟანტებს, მებრძოლებს

ძლევამოსილი წითელი არმიის სახელოვანო მარშლებო, გენერლებო, ოფიცრებო, სერჟანტებო და მებრძოლებო!

ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების ბრწყინვალე, სასიხარულო დღეს ბელორუსი ხალხი უდიდესი სიყვარულისა და მადლობის გრძნობით გიძღვნით თავის ძმურ სალამს თქვენი დიადი საგმირო საქმეებისათვის.

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ თქვენმა დიადმა ბრძოლამ, უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის გენიალურ ნააზრევთა განხორციელებაში თქვენმა რკინისებურმა ნებისყოფამ, მტერთან ბრძოლებში თქვენმა მამაცობამ და სიმტკიცემ თავიდან აიცილეს კაცობრიობას დაღუპვა. თქვენ იხსენით ჩვენი დიადი სამშობლოს წმიდა თავისუფლება და სიცოცხლე. თქვენ გაანადგურეთ ჰიტლერელ კაცისმკვლელთა ურდოები და აიძულეთ ფაშისტური გერმანია კაპიტულაცია მოეხდინა თქვენი იარაღისა და ჩვენი მოკავშირეების იარაღის ძლიერების წინაშე.

დიდება თქვენ მარად და მარად!

წითელმა არმიამ ბელორუს ხალხს დაუბრუნა მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის ბედნიერება. ბელორუსიისათვის დიადი გმირული ბრძოლები ოქროს ფურცლებად შევა ბელორუსი ხალხის ბრძოლის ისტორიაში. წითელი არმიის იმ სახელმოხვეჭილი სარდლების სახელები, რომლებიც ბელორუსიის ფრონტებს ხელმძღვანელობდნენ, მარად საყვარელი და დაუვიწყარი იქნებიან ჩვენი ხალხის ყველა თაობაში.

წითელი არმიის მეომრებო!

ბელორუსი ხალხი ფაშისტური ოკუპაციის წლებში საყოველთაო-სახალხო პარტიზანულ ბრძოლას ეწეოდა გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ, ეხმარებოდა წითელ არმიას გერმანიის სამხედრო მანქანის შერყევაში. ბელორუსი ხალხის ასიათასობით შვილი გამარჯვებისათვის იბრძოდა მტრის ზურგში და სამამულო ომის ფრონტებზე და თავისი საგმირო საქმეებით ამრავლებდა წითელი არმიის საბრძოლო დიდებას.

გერმანელ ოკუპანტთაგან საბჭოთა ბელორუსიის განთავისუფლების შემდეგ ბელორუსმა ხალხმა, რომელიც გამსჭვალულია წითელი არმიისადმი ურღმესი მადლობის გრძნობით თავისი განთავისუფლებისათვის, მთელი თავისი შრომითი ძალები წარმართა ფრონტის დასახმარებლად, და დღეს, გამარჯვების დღესასწაულზე, ბელორუსი ხალხი მოვიდა იმის შეგნებით, რომ მან მოიხადა ვალი დიდ სამამულო ომში.

დღეს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად, თქვენთან, გმირ მეომრებთან ერთად, საბჭოთა ბელორუსიის მშრომელები დღესასწაულობენ ჩვენი ძლევამოსილი ხალხის სისხლითა და შრომით მოპოვებულ გამარჯვებას.

დიდება თქვენ, გამარჯვებულო გმირებო!

დიდება გენიალურ მხედართმთავარს, გამარჯვების დიდ მარშალს ამხანაგ სტალინს!

ბელორუსიის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ნატალევიჩი

ბელორუსიის სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე პ. პონომარენკო

ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. კისელიოვი

სსრ კავშირის საელჩომ ლონდონში მიღება მოაწყო გერმანიაზე გამარჯვების აღსანიშნავად

ლონდონი, 17 მაისი. (საკდესი). გუშინ სსრ კავშირის ელჩმა ინგლისში ამხ. ფ. ტ. გუსევმა მიღება მოაწყო გერმანიაზე გამარჯვების აღსანიშნავად. დაესწრნენ: პოლანდიისა და ნორვეგიის პრემიერ-მინისტრები, ინგლისის ფინანსთა მინისტრი ანდერსონი, სამხედრო წარმოების მინისტრი ლიტლტონი, ლორდ-კანცლერი საიმონი, ავიაციის მინისტრი სინკლერი, საზღვაო მინისტრი ალექსანდერი, სავიაციო მრეწველობის მინისტრი კრიპსი და ინგლისის მთავრობის სხვა წევრები, ქ-ნი კლ. ჩერჩილი, დიპლომატიური კორპუსის წევრები, ერების ბრიტანული თანამეგობრობის ქვეყნების საგანგებო რწმუნებულები, მოკავშირე ქვეყნების მთავრობათა წევრები და დიპლომატიური წარმომადგენლები, ინგლისის ლორდთა პალატისა და თემთა პალატის წევრები, საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, საზღვაო სამინისტროს, ავიაციის სამინისტროს და სამხედრო სამინისტროს უმაღლესი ოფიცრები, ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები. გარდა ამისა, მიღებას დაესწრნენ მეცნიერები, არტისტები, საქმიანი და პროფესიული წრეების წარმომადგენლები და ლონდონში საბჭოთა კოლონიის წევრები.

გაერთიანებულ ერთა სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე

სან-ფრანცისკო, 16 მაისი. (საკდესის სპეც. კორ.). ახლა, როდესაც კონფერენცია თავისი მუშაობის მეოთხე კვირაში გადავიდა, სხვადასხვა კომიტეტები ამთავრებენ თავიანთ ამოცანას. თუმცა ბევრი დეტალი ჯერ კიდევ დაუმუშავებელია, კონფერენციის მთავარი პრობლემები, მეურვეობის საკითხის გარდა, როგორც სჩანს, გადაჭრილია. უეჭველია, რომ, მიუხედავად ცვლილებებისა, გადაკეთებისა და განმარტებებისა, რომლებიც შეიძლება შეტანილ იქნან სან-ფრანცისკოში გამომუშავებულ წესდებაში, ძირითადად იგი შესაბამისი იქნება დუმბარტონ-ოქსში გამომუშავებული პროექტისა, რომელიც ჩამოყალიბებული იყო ოთხი ორგანიზატორი სახელმწიფოს მიერ. ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ კომიტეტმა, რომელიც მუშაობს რეგიონალურ ღონისძიებებზე, 15 მაისს საღამოს დაამთავრა მოლაპარაკება.

№ 2 კომისიის № 4 კომიტეტმა, რომელიც მეურვეობის სისტემაზე მუშაობს, 15 მაისს საღამოს კომუნიკეში განაცხადა, რომ მეურვეობის საკითხის საერთო განხილვა დამთავრდა მექსიკისა და ეთიოპიის დელეგატთა განცხადებებით. კომიტეტმა შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ იგი შემდეგ კრებას დაიწყებს შეერთებული შტატების მიერ შეტანილი სამუშაო პროექტის განხილვით. კომიტეტის განცხადებაში აღნიშნულია, რომ კომიტეტის მუშაობის საფუძვლად ამ დოკუმენტის მიღება არ ნიშნავს მისი შინაარსის მოწონებას.

სტეტინიუსის განცხადება რეგიონალურ შეთანხმებათა საკითხში ამერიკის დელეგაციის პოზიციის შესახებ

სან-ფრანცისკო, 16 მაისი. (საკდესის სპეც. კორ.). გაერთიანებული ერების კონფერენციაზე ამერიკის დელეგაციის მეთაურმა სტეტინიუსმა, სანამ დღეს ლათინური ამერიკის ქვეყნების წარმომადგენლებთან რეგიონალურ შეთანხმებათა საკითხის განხილვას განაგრძობდა, პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ „ამერიკის დელეგაცია სან-ფრანცისკოს იმისთვის მოვიდა, რომ შეიმუშაოს საერთაშორისო ორგანიზაციის წესდება". „რა ძვირფასიც უნდა იყოს ჩვენთვის,— განაგრძო სტეტინიუსმა,—ჩვენი საამერიკათაშორისო სისტემა და რა დიდი მნიშვნელობაც უნდა ჰქონდეს მას ჩვენთვის ტრადიციების თვალსაზრისით, ჩვენ არ ვფიქრობთ ისეთი რამ გავაკეთოთ, რაც ხელს შეუშლის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმატებას და ზიანს მიაყენებს მის პრესტიჟს". სტეტინიუსმა რწმენა გამოსთქვა, რომ საამერიკათაშორისო სისტემა შეიძლება წარმატებით გამოყენებულ იქნას მომავალში საერთაშორისო ორგანიზაციის ჩარჩოებში.

ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი ე. ბენეში პრაღაში ჩავიდა

პრაღა, 16 მაისი. (საკდესი). აქ ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი დოქტორი ედუარდ ბენეში. ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქის მოსახლეობის უდიდესმა მასებმა აღფრთოვანებული შეხვედრა მოუწყეს პრეზიდენტს. ე. ბენეშმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც აღნიშნა წითელი არმიის განმათავისუფლებელი როლი და უდიდესი მნიშვნელობა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ხელშეკრულებისა მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის შესახებ.

ფირლინგერის განცხადება იმიერკარპატების უკრაინის შესახებ

ლონდონი, 15 მაისი. (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ჩეხოსლოვაკიის პრესბიუროს მიერ მიღებული ცნობებით, ჩეხოსლოვაკიის პრემიერ-მინისტრმა ფირლინგერმა განაცხადა:

„კარპატების უკრაინის მოსახლეობას შეადგენენ უკრაინელები, რომლებიც პოლტავისა და ხარკოვის ოლქების გლეხთა ენაზე ლაპარაკობენ. ამჟამად მათ შექმნეს თავიანთი ავტონომიური მთავრობა, რომელმაც სურვილი გამოთქვა შეუერთდეს საბჭოთა კავშირს. მაგრამ ეს მთავრობა ჯერჯერობით სცნობს ჩვენი მთავრობის ძალაუფლებას. ლონდონში არსებული ყოფილი ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო საბჭოს წევრი ივანე პეტრუშჩაკი ამჟამად უჟგოროდში იმყოფება, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრის წარმომადგენელი. პეტრუშჩაკს კავშირი აქვს ჩვენთან და მოქმედებს როგორც ჩეხოსლოვაკიის მთავრობასთან, ისე კარპატების უკრაინის ნაციონალურ საბჭოსთან სრული თანხმობით.

პრეზიდენტ ბენეშს და ჩვენს მთავრობას სურთ კარპატების უკრაინის საკითხი გადასჭრან მოსკოვთან სავსებით მეგობრულად, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ გამოთქმული ნამდვილი სურვილების შესაბამისად".

იუგოსლავიის არმიის გენერალური შტაბის ცნობა

ბელგრადი, 15 მაისი. (საკდესი). იუგოსლავიის არმიის გენერალური შტაბის 15 მაისის ცნობაში ნათქვამია, რომ მდინარე დრავის ზემოწელის მიმართულებით სწრაფი და გადამწყვეტი მოქმედების შედეგად იუგოსლაველთა ნაწილებმა უკანდასახევი გზები მოუჭრეს გერმანელთა, უსტაშთა და ჩეტნიკთა ნაწილების ნაშთებს, გარს შემოერტყნენ მათ სლოვენოგრადეცის, დრავოგრადისა და მარიბორის რაიონში, სამი დღის გაფთრებული ბრძოლების შემდეგ გაანადგურეს ისინი და აიძულეს კაპიტულაცია მოეხდინათ. ამრიგად, ლიკვიდირებული არიან მტრის უკანასკნელი ძალები, რომლებიც ამ რაიონში კიდევ უწევდნენ წინააღმდეგობას იუგოსლაველთა ნაწილებს. ტყვედ წამოყვანილია 20 ათასზე მეტი უსტაში, მათ შორის ბევრი ცნობილი სამხედრო დამნაშავე. ტყვედ წამოყვანილია აგრეთვე დიდძალი ჩეტნიკი.

იუგოსლაველთა ნაწილებმა აგრეთვე აიძულეს გერმანიის ჯარების ბალკანეთის ჯგუფის ნაშთები კაპიტულაცია მოეხდინათ; ამ ჯარებს სარდლობდა გენერალ-ფელდმარშალი ლერი. ტყვედ წამოყვანილია 10 ათასზე მეტი გერმანელი. ბრძოლების დროს მოკლულია მოწინააღმდეგის 5 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. განთავისუფლებულია უსტაშთა ბანდების მიერ ძალად წაყვანილი დაახლოებით 8 ათასი სამოქალაქო პირი. წამოღებულია დიდძალი იარაღი და სამხედრო მასალა.

მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების შტაბის განცხადება დენიცის მდგომარეობის შესახებ

ლონდონი, 16 მაისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, 16 მაისს საღამოს მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბში გამოცხადებული იყო, რომ ადმირალ დენიცს და გერმანიის სხვა ოფიცრებს დროებით იყენებენ იმ მოვალეობათა შესასრულებლად, რომლებიც დაკავშირებულია გერმანიის არმიის სურსათით უზრუნველყოფასთან, განიარაღებასთან და სამედიცინო მომსახურებასთან. „ამ გერმანელი ოფიცრების მოქმედებას სავსებით უწევენ კონტროლს მოკავშირეები; ამ ოფიცრებმა ზუსტად უნდა აასრულონ მოკავშირეთა სარდლების მითითებანი.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის საბიუჯეტო კომისიის გადაწყვეტილება

ნიუ-იორკი, 16 მაისი. (საკდესი). როგორც ასოშიეტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, წარმომადგენელთა პალატის საბიუჯეტო კომისიამ თოთხმეტი ხმით თერთმეტის წინააღმდეგ მოიწონა კანონ-პროექტი, რომ სამი წლის ვადით გაგრძელებულ იქნას მოქმედება კანონისა სხვა სახელმწიფოებთან იმ სავაჭრო შეთანხმებათა შესახებ, რომლებიც დამყარებულია ურთიერთ სატარიფო შეღავათებზე. როგორც მოელიან, ამ საკითხს წარმომადგენელთა საბჭო მომავალ კვირაში განიხილავს.

ჰიტლერელების ლეისა და შვარცის დატყვევება

ლონდონი, 17 მაისი. (საკდესი). ლონდონის რადიო იუწყება, რომ მოკავშირეებმა შეიპყრეს ჰიტლერული ეგრეთწოდებული „შრომითი ფრონტის" ხელმძღვანელი რობერტ ლეი და ჰიტლერული პარტიის მთავარი ხაზინადარი ფრანც შვარცი. ორივე ტყვედ წამოყვანილია 16 მაისს ამერიკის მე-7 არმიის ნაწილების მიერ.

იაპონიის კაბინეტის გადაწყვეტილება გერმანიასა და ევროპის სხვა ქვეყნებთან იაპონიის ხელშეკრულებათა გაუქმების შესახებ

ტოკიო, 15 მაისი. (საკდესი). როგორც დომეი ცუსინის სააგენტო გადმოგვცემს, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა დღეს შემდეგი განცხადება გამოაქვეყნა:

„გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციისა და ევროპაში ამას წინათ მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით, იაპონიასა, გერმანიასა და იტალიას შორის 1941 წლის 11 დეკემბერს დადებულმა სამხედრო კავშირმა, ამ ქვეყნებს შორის 1940 წლის 27 სექტემბერს დადებულმა სამი სახელმწიფოს პაქტმა და სხვადასხვა შეთანხმებებმა, რომლებიც ითვალისწინებენ განსაკუთრებულ თანამშრომლობას იაპონიას, გერმანიასა და ევროპის სხვა სახელმწიფოებს შორის, მოქმედება შესწყვიტეს".

მთავრობის გადაწყვეტილება—ეს ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი გამოეცხადებინა მნიშვნელობადაკარგულად — მოწონებულ იქნა მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე 15 მაისს მას შემდეგ, რაც საგარეო საქმეთა მინისტრმა ტოგომ ამის შესახებ დაწვრილებითი მოხსენება გააკეთა. ამის შემდეგ ტოგომ იმპერატორს აცნობა კაბინეტის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება. მერმე ტოგომ თავის ოფიციალურ რეზიდენციაში გამოიწვია გერმანიის ელჩი შტამერი და აცნობა იაპონიის მთავრობის გადაწყვეტილება, მიღებული ევროპაში მომხდარ უკანასკნელ მოვლენებთან დაკავშირებით.

ლენინ-სტალინის პარტია ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია

ჩვენი გამარჯვების ზეიმის სახელოვან დღეებში საბჭოთა ადამიანების გული აღსავსეა უღრმესი მადლობით ბოლშევიკების დიადი პარტიისადმი, ლენინ-სტალინის პარტიისადმი. მის ხელმძღვანელობას უნდა უმადლოდეს ჩვენი ქვეყანა ისტორიულ გამარჯვებებს დაძაბულ და ძნელ ბრძოლაში გერმანიის იმპერია- [illegible]

სამამულო ომმა ისეთი ამოცანები დაუსახა ჩვენს ქვეყანას, რომლებიც მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას არასოდეს არ გადაუწყვეტია. ათასობით ქარხანა გადატანილ იქნა მათი ადგილებიდან. ბოლშევიკები გრანდიოზული მასშტაბის ევაკუაციას ხელმძღვანელობდნენ. ამავე დროს ფართოდ გაჩაღდა ახალი მშენებლობა. ახალი [illegible]

თეორიით. თანამედროვე ომის წლებში მსოფლიოს არც ერთ ხალხს არ ჰქონია ისეთი ნათელი პერსპექტივა, როგორიც საბჭოთა ხალხს გადაუშალა ბოლშევიკურმა პარტიამ. ამხანაგ სტალინის გამოსვლები, ბრძანებები მძლავრი პროჟექტორის კაშკაშა სხივივით ანათებდნენ ჩვენი ქვეყნის გზას, წარმოადგენდნენ გზის მაჩვენე- [illegible]

[illegible] ჰიტლერულ გერმანიასთან ომში გამარჯვებას საბჭოთა ხალხი უნდა უმადლოდეს ბოლშევიკების პარტიას, პარტიისა და ხალხის ბელადს ამხანაგ სტალინს.

პარტიამ უდიდესი ორგანიზატორული მუშაობა გასწია სამამულო ომის წლებში. მისი ამოცანები განსაზღვრა ამხანაგმა სტალინმა. უნდა „გარდავექმნა მთელი ჩვენი მუშაობა საომარ ყაიდაზე, ყველაფერი დაგვემორჩილებინა ფრონტის ინტერესებისა და მტრის განადგურების ორგანიზაციის ამოცანებისათვის“.

[illegible] ხის პრაქტიკულ ამოცანებს ომის ყოველ ეტაპზე. იგი არ მალავდა, რომ მტერი ძლიერი იყო, რომ წარმატებებით ყოყოჩობა არ შეიძლება. პარტია მუდამ გვასწავლიდა, რომ გამარჯვება ბრძოლებითა და შრომით მოიპოვება.

ბოლშევიკური პარტიის იდეებმა, ლენინისა და სტალინის იდეებმა გაიმარჯვეს ამ ომში. ჩვენმა ხალხმა გაიმარჯვა იმის მეოხებით, რომ იგი ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს ყველაზე მოწინავე მეცნიერული თეორიით, მარქსიზმ-ლენინიზმის [illegible] დან სტალინი გამარჯვებას ნიშნავს.

ჩვენ გავიმარჯვეთ დიდ ომში ლენინ-სტალინის სახელოვანი პარტიის ხელმძღვანელობით. პარტიის ხელმძღვანელობით, ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით, შეასრულებს რა მის ბრძნულ წინასწარდასახულობას, საბჭოთა ხალხი უმოკლეს ვადაში მოიშუშებს ომით მიყენებულ ჭრილობებს და მიაღწევს ჩვენი დიდი საბჭოთა სახელმწიფოს სამხედრო-ეკონომიური ძლიერების შემდგომ განმტკიცებას.

„პრავდის“ 16 მაისის მოწინავე.

საბჭოთა კავშირის გმირი ვლადიმერ ივანეს-ძე პაპიძე

(ჭიათურა, „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ჭიათურაში მოვიდა ერთ-ერთი საფრონტო გაზეთი. იქ მოთავსებულია კაპიტან ი. ცერცვაძის წერილი, რომელიც მიძღვნილია საბჭოთა კავშირის გმირ ვლადიმერ პაპიძის საბრძოლო ცხოვრებისადმი.

„1945 წლის 29 მარტს,—ნათქვამია წერილში,—დილის 10 საათზე პოლკში პატარა პაკეტი გადასცეს მეთაურს. მასზე ასეთი წარწერა იყო: „ფრიად სასწრაფოდ. ვლადიმერ ივანეს-ძე პაპიძეს“.

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 24 მარტის ბრძანებულებით თქვენ მოგენიჭათ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, ლენინის ორდენისა და მედალ „ოქროს ვარსკვლავის“ გადაცემით. გილოცავთ უმაღლეს ჯილდოს და გისურვებთ წარმატებებს საბრძოლო და პირად ცხოვრებაში.

სამხედრო საბჭო“.

ასეთი დეპეშა აღმოჩნდა პაკეტში. ეს სასიხარულო ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელს პირად შემადგენლობას.

სერჟანტი ვლადიმერ ივანეს-ძე პაპიძე გამოცდილი მეომარია. ოთხჯერ დაღვარა მან თავისი სისხლი მშობლიური მიწა-წყლის დასაცავად. ჭრილობები მოუშუშდებოდა თუ არა, პაპიძე კვლავ იარაღით ხელში იბრძოდა ჰიტლერელ ბარბაროსთა წინააღმდეგ.

პაპიძე მონაწილეობას იღებდა ყველა იმ სახელოვან ბრძოლაში, რომელიც ჩაატარა ანაპის ქართულმა წითელდროშოვანმა დივიზიამ ჩრდილოეთ კავკასიისა და ყირიმის განთავისუფლებისათვის. მან არნახული ვაჟკაცობის, გმირობისა და გამბედაობის ნიმუშები გვიჩვენა. მოზდოკი, იშჩერსკაია, კალაბატკა, ანაპა, ტამანის ნახევარკუნძული, სევასტოპოლი—აი, ბრძოლისა და გამარჯვების ძნელი და სახელოვანი გზა, რომელიც განვლო პაპიძემ. ტამანის ნახევარკუნძულზე მის მამაცობას და ოსტატობას მაღალი შეფასება მისცა სარდლობამ. იგი დაჯილდოებულ იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით.

პაპიძემ განსაკუთრებით ისახელა თავი ყირიმის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. 1944 წლის 23 იანვარს ბატალიონი იმყოფებოდა დაცვაში ქერჩის ნახევარკუნძულზე. მოწინააღმდეგის ძელმიწური საცეცხლე წერტები ძნელად მისავალი იყო. ჩვენს ასეულებში შეიქმნა „ბლოკირების“ ჯგუფები. მეორე ასეულის ასეთ ჯგუფში შედიოდა წითელარმიელი პაპიძე. მოწინააღმდეგის ძელმიწურის ბლოკირება ებრძანა ამ ჯგუფს. მიუხედავად მტრის ძლიერი საარტილერიო-სანაღმტყორცნო ცეცხლისა, პაპიძე მიცოცდა და თავის ამხანაგებთან ერთად სწრაფად დაესხა თავს ძელმიწურს. გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა. ფაშისტებმა ვერ გაუძლეს ქართველი დევგმირების დარტყმას და უკან დაიხიეს. წითელარმიელმა პაპიძემ ბრწყინვალედ შეასრულა ამოცანა. მან ხელჩართულ ბრძოლაში მოკლა 17 ჰიტლერელი, მტრის განლაგებაში შეიტანა არევ-დარევა და ასეულს საშუალება მისცა წინ წაეწია.

1944 წლის 7 მაისს სევასტოპოლის საიერიშო ბრძოლების დროს პაპიძე ავტომატით შეიჭრა მტრის ძელმიწურში და ოთხი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი მოკლა. რითაც საშუალება მისცა ასეულს შემოვლითი მანევრით გაენადგურებინა 130 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

№ 10 საბჭოთა მეურნეობასთან შეტევითი ოპერაციების დროს პაპიძე ძახილით: „სტალინისათვის, სამშობლოსათვის!“—პირველი შეიჭრა საბჭოთა მეურნეობაში და აღმართა წითელი დროშა შენობის ნანგრევებზე“.

ასეთია ბოლშევიკ პაპიძის საბრძოლო გზა. იგი დაჯილდოებულია აგრეთვე მედლით „კავკასიის დაცვისათვის“.

ვლადიმერ ივანეს-ძე პაპიძე დაიბადა ჭიათურის რაიონის სოფელ ქვედა უსახელოში, დაამთავრა ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებელი და 1919 წლიდან მასწავლებლობდა. 1942 წლიდან ფრონტზეა. ფრონტზე მიიღეს ლენინ-სტალინის პარტიის რიგებში.

პ. ჭიოკაძე

საბჭოთა კავშირის გმირ ვიქტორ ლესელიძის უკანასკნელი ბრძოლა

ამ დღეებში ნაწილიდან მოვიდა წერილი რომელშიც აღწერილია ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის საბჭოთა კავშირის გმირ პოდპოლკოვნიკ ვიქტორ ნიკოლოზის-ძე ლესელიძის უკანასკნელი ბრძოლა.

„ეს იყო 1944 წლის 28 ივნისს. — ნათქვამია წერილში. — დილის 6 საათიდან გაჩაღდა ცხარე ბრძოლა ფინელებთან სოფელ ვიდლიცისათვის, მდინარე ვიდლიცაზე გადასასვლელისათვის.

ჩვენი პოლკი თავისი ნაღმსატყორცნების ცეცხლით ხელს უწყობდა მსროლელთა პოლკს. ლესელიძე თავის მზვერავთა ჯგუფთან ერთად წავიდა წინ დასაზვერავად და თავისი ბატარეებისათვის საცეცხლე პოზიციების ასარჩევად.

მზვერავები ლესელიძის მეთაურობით გადა- [illegible] ვიდნენ ტყით მდინარე ვიდლიცაზე. მდინარის მახლობლად მათ შეხვდათ ჩვენი ქვეითების ასეული, რომელსაც ვიდლიცის გაღმა დაეკავებინა პლაცდარმი და ახლა იბრძოდა მისი გაფართოებისათვის. ამ ასეულის წინააღმდეგ ფინელებს ზედიზედ მოჰქონდათ იერიშები და ცდილობდნენ მის გადაგდებას მდინარეში.

პოდპოლკოვნიკმა ლესელიძემ მაშინვე შეამჩნია, რა საფრთხე ემუქრებოდა ჩვენს მამაც მებრძოლებს მტრის ჭარბი ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში. მას ერთი წუთიც არ დაუყოვნებია და შეძახილით: „სამშობლოსათვის, სტალინისათვის!“ თავისი მზვერავებით ეკვეთა მტერს. ამ იერიშის შედეგად ფაშისტები უკუიქცნენ დიდი ზარალით. რამდენიმე ხნის შემდეგ მტერი მეორედ გადმოვიდა კონტრიერიშზე. პოდპოლკოვნიკი ლესელიძე ახლა მთელ ჯგუფს ჩაუდგა სათავეში და ფიცხელი იერიშით გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა მტერს. ორ ასეულამდე ჰიტლერელი გაჟლეტილ და უკუქცეულ იქნა.

მდინარე ვიდლიცასთან ამ გააფთრებულ ბრძოლაში გმირთა სიკვდილით დაეცა მამაცი საბჭოთა ოფიცერი ვიქტორ ლესელიძე.

ჩვენი პოლკის მეთაური პოდპოლკოვნიკი ვიქტორ ლესელიძე დასაფლავებულია კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის ოლონეცის [illegible] რაიონის სოფელ ილინსკში მოედანზე მდინარე ტულოკსას პირას, საბჭოთა სამშობლოსათვის ბრძოლებში დაღუპულ ძმათა სასაფლაოს გვერდით. მის საფლავზე დადგმულია ძეგლი წარწერით: „აქ დასაფლავებულია პოდპოლკოვნიკი ვიქტორ ნიკოლოზის-ძე ლესელიძე, რომელიც დაეცა საბჭოთა სამშობლოსათვის ბრძოლაში 1944 წლის 28 ივნისს. სამარადისო დიდება დიდი სამამულო ომის გმირს!“

საბჭოთა სამშობლომ დააფასა ვიქტორ ლესელიძის მამაცობა და გმირობა და მიანიჭა მას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

იმ პოლკის პირადი შემადგენლობა, რომელსაც პოდპოლკოვნიკი ლესელიძე მეთაურობდა, პატივს სცემს მის, როგორც სახელოვანი და გულადი მეთაურის, ხსოვნას. იგი იყო ჩვენი პოლკის შემქმნელი და ვეტერანი და მან ბევრი შრომა და სამხედრო ოსტატობა მოახმარა პირადი შემადგენლობის აღზრდას და მის საბრძოლო ხელმძღვანელობას. უნარიანი მოქმედებისათვის ჩვენს პოლკს „სვირის“ სახელწოდება მიენიჭა.

ჩვენ ღირსეულად ვინახავთ და ვასრულებთ იმ საბრძოლო ტრადიციებს, რომლებსაც ჩვენს პოლკში საძირკველი ჩაუყარა პოდპოლკოვნიკმა ლესელიძემ. მის მიერ აღზრ- [illegible] დილი ასობით მებრძოლი, სერჟანტი და ოფიცერი თავიანთი საბრძოლო მამაცობისათვის დაჯილდოებული არიან ორდენებითა და მედლებით.

პოლკის პირადი შემადგენლობა დიდ მადლობას უძღვნის ქართველ ხალხს, რომელმაც აღზარდა წითელი არმიის ასეთი ნიჭიერი, გაბედული და მამაცი მეთაური.

პოდპოლკოვნიკი კრივოშეი“

საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

ქუთაისი („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მე-12 პლენუმი, რომელმაც განიხილა ორი საკითხი: 1. ვ. მ. ბაქრაძის სახელობის აბრეშუმის კომბინატისა და ა. ი. მიქოიანის სახე- [illegible]

პლენუმზე გამოირკვა აგრეთვე, რომ მიღწევებთან ერთად საკონსერვო ქარხნისა და აბრეშუმკომბინატის მუშაობაში არის თვალსაჩინო დეფექტები. აბრეშუმკომბინატი ჯერ კიდევ ვერ მუშაობს რიტმულად. მაგალითად, იანვარში აბრეშუმის ქსოვილის გამოშვების [illegible] ლივე ამის შედეგად საერთო პროდუქციის გამოშვების კვარტალური დავალება საკონსერვო ქარხანამ 113,3 პროცენტით შეასრულა, ხოლო აბრეშუმკომბინატმა — 107,9 პროცენტით.

[illegible] მაუდისა და სამკერვალო ფაბრიკების პარტორგანიზაციებს პოლიტიკურ-მასობრივ მუშაობაში ჯერ კიდევ აქვთ სერიოზული ნაკლოვანებები. მაუდის ფაბრიკაში ზოგიერთი აგიტატორი სისტემატურად არ ატარებს საუბ- [illegible]

რებს. ეს პირველ რიგში ეხება მოსამზადებელი და საჩეჩი საამქროების აგიტატორებს ამხ. კახიძესა და სვანიძეს. სუსტად მუშაობენ საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიისა და მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი წრეები. ჰმეიათად ეწყობა თეორიული საუბარი წრევ- [illegible] ტი უნდა იბრუნონ კომბინატის პარკით მომარაგებისათვის.

პლენუმმა განხილული საკითხების გამო მიიღო პრაქტიკული ღონისძიებანი.

გ. მეფისაშვილი

ფოთის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

ფოთი („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). შესდგა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელსაც ესწრებოდნენ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, საკოლმეურნეო და საწარმო-დაწესებულებების პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები და აგრონომები.

რაიონში ციტრუსოვან კულტურათა მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ქალაქის საბჭოს აღმასკომის მეწვანის გამგე ამხ. ა. ბედია.

— უკანასკნელ ხანებში, — ამბობს მომხსენებელი, — ფოთში დიდი ყურადღება ექცევა ციტრუსოვანი კულტურების მოვლა-პატრონობას. კოლხიდის საცდელ სადგურში, „ზაგოტზერნოს“ მეურნეობასა და მთელ რიგ სხვა ორგანიზაციებში ციტრუსები კარგადაა მოვლილი. ნიადაგში დროზე შეიტანეს სასუქი, აგრონომიულ ვადებში ჩაატარეს გასხვლა და შეწამვლა.

მომხსენებელმა ამასთან დაასახელა ის ორგანიზაციები, საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეები, რომლებიც ყურადღებით არ ეკიდებიან ციტრუსებს. მოუვლელობის შედეგად თითქმის განადგურებულია სკოლის ეზოებში გაშენებული ნარგავები. კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამწვანების სექტორს ზოგან უყურადღებოდ აქვს მიტოვებული ციტრუსების პლანტაცია, საკარმიდამო ნაკვეთებზე გაშენებულ ნარგავებს ცუდად უვლიან მთელი რიგი მოქალაქენი (ი. ფანჩულია, ი. სიხარულიძე, პ. კართხია და პ. ლოლუა). საბჭოთა მეურნეობა „კოლხიდას“ მიმდინარე წელს 2,800 ძირი ლიმონი უნდა გაეშენებინა, მაგრამ მხოლოდ 1,000 ძირი დარგო. მეურნეობაში დროულად არ ტარდება სამუშაოები. დამთავრებული არ არის წამლობა და ნარგავთა შემობარვა და სხვ.

მოხსენების გამო კამათში გამოსულმა ამხანაგებმა გააკრიტიკეს მიწვანის აგრონომები, რომლებიც ადგილებზე არ ატარებენ აგრონომიულ საუბრებს და ვერ უზრუნველჰყოფენ ციტრუსოვან ნარგავთა ხარისხოვან შეწამვლას.

აქტივის კრებაზე მოსმენილ იქნა ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის, მოადგილის ამხ. გ. ფაჩულიას ინფორმაცია ქალაქის სანიტარული მდგომარეობისა და დასუფთავების ათდღიურის ჩატარების შესახებ.

ორივე საკითხზე შემაჯამებელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. გრ. კოკაიამ.

მოსმენილი საკითხების გამო აქტივის კრებამ დასახა სათანადო ღონისძიებანი.

ვ. გუჯაბიძე

აკადემიკოს ე. ო. პატონის მოღვაწეობის აღნიშვნა

უკრაინის დედაქალაქის საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა სოციალისტური შრომის გმირის, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის ე. ო. პატონის დაბადების 75 წლისთავი და სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლისთავი. მეცნიერებათა აკადემიის ხალხით გაჭედილ კონფერენცდარბაზში იუბილარის პატივსაცემად შეიკრიბნენ უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები და წევრ-კორესპონდენტები, მეცნიერი თანამშრომლები, ტყევის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მოხსენება „ე. ო. პატონი და მისი სამეცნიერო მოღვაწეობა“ გააკეთა უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა მ. ა. ლავრენტიევმა. მან დაწვრილებით უამბო გამოჩენილი მეცნიერის შრომითს გზაზე, იუბილარის მეოხებით ელექტროშედუღების ინსტიტუტის შექმნაზე. ე. ო. პატონისა და ინსტიტუტის კოლექტივის მიერ შემუშავებულმა ავტომატური ელექტროშედუღების მეთოდმა მშვენიერი შედეგი მოგვცა. ჩვენი ქვეყნის ქარხნებში ამჟამად მუშაობს ავტომატური შედუღების 80-მდე დანადგარი.

მოხსენების შემდეგ გამოქვეყნებულ იქნა უკრაინის სსრ სახკომსაბჭოსა და უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება ელექტროშედუღების ინსტიტუტისათვის აკადემიკოს პატონის სახელის მინიჭების, სტუდენტებისათვის მისი სახელობის სამი სტიპენდიისა და ასპირანტებისათვის ორი სტიპენდიის დაწესების შესახებ.

საპასუხო სიტყვაში იუბილარმა მხურვალე მადლობა გადაუხადა პარტიას, მთავრობას, ამხანაგებსა და მეგობრებს მუშაობაში მისთვის აღმოჩენილი ყურადღებისათვის.

დამთავრდა თავდაცვა-ავიაქიმის XI სრულიად საკავშირო შეჯიბრება საჰაერო-ქიმიურ თავდაცვაში

შეჯამებულია საჰაერო თავდაცვაში თავდაცვა-ავიაქიმის XI სრულიად საკავშირო შეჯიბრების შედეგები; შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 15 მილიონზე მეტმა კაცმა.

შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდნენ და პირველი ადგილები დაიკავეს საქართველოს სს რესპუბლიკის, ყირიმის ასს რესპუბლიკის, პრიმორიეს მხარის, კალინინის ოლქის თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებმა. ქალაქებს შორის პირველი ადგილი დაიკავა მოსკოვის ორგანიზაციამ.

თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალურმა საბჭომ გამარჯვებულთ გარდამავალი წითელი დროშები მიაკუთვნა და ფულადი პრემიები მისცა.

შეჯიბრებაში ჩინებული მაჩვენებლებისათვის ნიშნით „აქტიური თავდაცვითი მუშაობისათვის“ დაჯილდოებულია 26 კაცი, თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს სიგელით—21 კაცი, ფულადი პრემიით—20 კაცი. (საკდესი).

გამოცდილების ტრიბუნა

როგორ აღწევს წარმატებას ტრაქტორისტი გ. ბანეთიშვილი

გ. ბანეთიშვილისა და მისი „ჩტზ" მარკის ტრაქტორის მინდვრად გასვლას კოლმეურნეები სიხარულით ელიან. მათ იციან, რომ ამხ. ბანეთიშვილი დავალებას დროზე შეასრულებს და ნამუშევრის ხარისხიც კარგი იქნება. ამიტომ ყველას უნდა, რომ იგი მის კოლმეურნეობაში მუშაობდეს.

რით აღწევს ამ წარმატებას, რით იმსახურებს საერთო სიყვარულს ტრაქტორისტი გ. ბანეთიშვილი?

თუ ტრაქტორი სრული დატვირთვით, შეუფერხებლად იმუშავებს, მას მიცემული გეგმის შესრულებაც არ გაუჭირდება. ამიტომ ტრაქტორისტი ამხ. ბანეთიშვილი თვალისჩინივით უფრთხილდება თავის ტრაქტორს. მას ტრაქტორის „მკურნალს" უწოდებენ. ეს ასეც არის. ამაში რომ დავრწმუნდეთ, საკმარისია გადავხედოთ თბილისის მტს-ში მის ოთხი წლის მუშაობას.

მტს-ის მე-3 სატრაქტორო ბრიგადა, სადაც უფროს ტრაქტორისტად არის ამხ. ბანეთიშვილი, ყოველ სეზონს მზად ხვდება. ამ ბრიგადის ტრაქტორები საუკეთესოდაა შეკეთებული, აქვთ ყველაფერი, რაც აუცილებელია მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის. თვითონ გ. ბანეთიშვილის ტრაქტორი ყოველთვის წესრიგშია. წელს იგი მინდვრად გავიდა, როგორც კი მუშაობისათვის შესაფერი ამინდი დადგა. სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას მას აღებული ჰქონდა ვალდებულება გამოენახა საჭირო ნაწილები და თავისი ხელით შეეკეთებინა ტრაქტორი. ააკისრი ვალდებულება მან პირნათლად შეასრულა.

ტრაქტორი აგუგუნდა საკოლმეურნეო მინდვრებში. იგი დღე და ღამე განუწყვეტლად მუშაობს. შეფერხების დროს ტრაქტორისტს არ სჭირდება მიმართოს დახმარებისათვის სახელოსნოს. ამხ. ბანეთიშვილი თვითონ მკურნალობს ტრაქტორს. დღე-ღამეში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 7 ჰექტარისა, იგი 8-9 ჰექტარს ხნავს. წელს სეზონში გეგმით მან უნდა მოხნას 600 ჰექტარი, 10 მაისისათვის უკვე მოხნული ჰქონდა 362 ჰექტარი.

კარგად მუშაობს მთლიანად მესამე ბრიგადა. ტრაქტორისტები დილით ადრე, სამუშაოდ გასვლის წინ 15-20 წუთს ანდომებენ ტრაქტორის შემოწმებას, ნაწილების გაწმენდას, გახეთვას და სხვა. უფროსი ტრაქტორისტის მაგალითისამებრ ისინი თავდადებულად მუშაობენ და დავალებებსაც ყოველთვის ასრულებენ. ამხ. ბანეთიშვილის დახმარებით ტრაქტორისტი ამხ. ართოშვილი მოწინავე გახდა.

ტრაქტორისტთა მაღალნაყოფიერ მუშაობაში წილი უდევს კოლმეურნეობასაც. სოფელ გლდანის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობამ ტრაქტორისტებს მინდვრად მოუწყო ღამის გასათევი ბინა, გაუკეთა საწვავის შესანახი და ხელს უწყობს მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

საჭიროა ის მდიდარი გამოცდილება, რაც მოწინავე ტრაქტორისტებმა დააგროვეს, ფართოდ გავავრცელოთ, გავაცნოთ ყველა ტრაქტორისტს, ხელი შევუწყოთ მათ მთელი ნაყოფიერებით იმუშაონ, მოიპოვონ ახალი წარმატებები. ამას მოითხოვს ჩვენი გამარჯვებული ქვეყანა.

ნ. ჯანჯღავა

26 კომისრის სახელობის ქარხანა შეუდგა მცირე სიმძლავრის ტურბინების დამზადებას. ქარხანამ უკვე აითვისა 25-ცხენის ძალიანი ტურბინები. სურათზე: ტურბინების კონსტრუქტორი ინჟინერი გ. თხინვალელი (მარცხნივ), საამქროს უფროსი კ. კლანი და სტახანოველი სონღულაშვილი ტურბინასთან.

ფოტო რ. აკოფოვისა

კომბინატ საქართველოს ქვანახშირის ტრესტების შეჯიბრება

აპრილის შედეგები

კომბინატ საქართველოს ქვანახშირის საექსპლოატაციო ტრესტების — ტყიბულქვანახშირისა და ტყვარჩელქვანახშირის მეშახტეთა კოლექტივების შეჯიბრებამ აპრილის განმავლობაში ასეთი შედეგები მოგვცა:

მთლიანად კომბინატმა (უფროსი ამხ. ბ. გუჯეჯიანი) აპრილში გადაჭარბებით შეასრულა ქვანახშირის ამოღების გეგმა. კომბინატმა შეასრულა აგრეთვე სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა გეგმაც.

დაწინაურდა ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის კოლექტივი (ტრესტის მმართველი ამხ. შ. გარდაფხაძე, საქართველოს კ. პ. (ბ) ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. კ. ჩაგუნავა). ქვანახშირის ამოღების გეგმა აპრილში ტყვარჩელქვანახშირის ტრესტმა 113,5 პროცენტით შეასრულა, სამთო-მოსამზადებელი სამუშაოებისა—122,4 პროცენტით და ქვანახშირის დატვირთვისა—130 პროცენტით. წინა თვესთან შედარებით აპრილში ქვანახშირის სადღეღამისო ამოღება ტყვარჩელში მნიშვნელოვნად იყო გაზრდილი.

ტყიბულქვანახშირის ტრესტის კოლექტივმა (ტრესტის მმართველი ამხ. ა. ვარდიშვილი, საქართველოს კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მდივანი ამხ. ე. ჯვებენავა) აპრილში შესამჩნევად შეანელა მუშაობის ტემპები. ქვანახშირის ამოღების გეგმა აპრილში ტრესტმა 100 პროცენტით შეასრულა, სამთო-მოსამზადებელი სამუშაოებისა—103 პროცენტით, ქვანახშირის დატვირთვისა—95,2 პროცენტით. ტყიბულელებმა აპრილში საგრძნობ წარმატებას მიაღწიეს ქვანახშირის ხარისხის ამაღლებაში და ნაცრიანობა სტანდარტთან შედარებით 3,67 პროცენტით შეამცირეს.

ამგვარად ტყიბულში მუშაობის ტემპების თანდათანობითი ზრდის ნაცვლად, აპრილში და, საერთოდ, უკანასკნელი 2-3 თვის განმავლობაში სამუშაოთა ფრონტი რამდენადმე შევიწროვდა. მართალია წლის დასაწყისიდან გასულ ოთხ თვეში ტყიბულელებმა ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცეს 6.900 ტონა ქვანახშირი, მაგრამ „მარაგი", რომელიც მათ გეგმის გადამეტებით დააგროვეს თანდათან მცირდება. ტყვარჩელელებმა ამ მხრივ ბევრად გაასწრეს ტყიბულელებს. მათ იმავე ოთხ თვეში ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცეს 13.000 ტონა ქვანახშირი.

ყოველივე ეს ტყიბულელებისათვის საყურადღებო სიგნალი უნდა გახდეს.

ახლა, როცა გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი ძლევამოსილად დამთავრდა, ქვანახშირის მრეწველობის მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა წინაშე კვლავ სდგას ამოცანა გაადიდონ ქვანახშირის ამოღება, ვადაზე ადრე შეასრულონ გეგმა. ტყიბულელმა მეშახტეებმა დაუყოვნებლივ გამოასწორონ მდგომარეობა ჩამორჩენილ უბნებზე, გააფართოონ სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა ფრონტი და მიაღწიონ ქვანახშირის ამოღების შემდგომ ამაღლებას. აპრილში საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულეს გეგმები იმ უბნებმა, სადაც უფროსებად არიან ამხ. ფანჩულიძე, შ. შოთაძე, მ. ცოცხვაია (ამ უბნის კოლექტივი აპრილში ეჯიბრებოდა ტყვარჩელელ ა. ჭირაქაძის კოლექტივს), ლ. ვაშაკიძე და სხვები, ხოლო ამავე დროს ამხ. გორგაძის, გაბრიაძის და ჩიხლაძის უბანთა კოლექტივებმა აპრილის გეგმა მთლიანად ვერ შეასრულეს.

ტყვარჩელში გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა. იქ მიაღწიეს რიტმულ მუშაობას: სტალინის სახელობის შახტის ყველა უბანმა, გარდა ერთისა (ჩამორჩა სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა უბანი, რომელსაც ამხ. ტებეტოვი ხელმძღვანელობს), გადაჭარბებით შეასრულა აპრილის გეგმა. მოწინავე უბანთა უფროსებმა ამხ. ჭირაქაძემ, გოთუამ, შჩერბინოვმა და სხვებმა შეძლეს მეშახტეთა მასების დარაზმვა მათ წინაშე მდგარ საწარმოო ამოცანათა შესასრულებლად. ტყვარჩელელები მხურვალედ გამოეხმაურნენ ტყიბულელ მ. ცოცხვაიას მოწოდებას საპირველმაისო შეჯიბრებაში ამხ. ჭირაქაძის უბნის გამოწვევის შესახებ და საყურადღებო შედეგებსაც მიაღწიეს.

საექსპლოატაციო უბანი ქვანახშირის მოპოვების მთავარი რგოლია. როგორც ცნობილია, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა მოიწონა სტალინის ოლქის მეშახტეთა წინადადება ქვანახშირის მოპოვების საუკეთესო უბნის სახელის მოსაპოვებლად სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ. კომბინატ საქართველოს ქვანახშირის ტრესტებში მრავალი კარგი უბანია, მაგრამ ამოცანა ის არის, რომ ყველა უბანი სანიმუშო იყოს და გადაჭარბებით ასრულებდეს გეგმებს.

ქვანახშირი ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს ყოველდღე მეტი და მეტი რაოდენობით სჭირდება. საქართველოს სამთამადნო მრეწველობის მუშებს, პირველ რიგში კი ტყიბულელ და ტყვარჩელელ მეშახტეებს, რომლებმაც თავისი წვლილი შეიტანეს ჰიტლერული გერმანიის განადგურების საქმეში, კარგად აქვთ შეგნებული, თუ რაოდენ გაზრდილია მათი პასუხისმგებლობა ახლა, როდესაც უკვე დაიწყო მშვიდობიანი განვითარების პერიოდი. ტყიბულელმა და ტყვარჩელელმა მეშახტეებმა დიდი სტალინის მიმართვის პასუხად იკისრეს ახალი გადიდებული საწარმოო ვალდებულებანი. ნაკისრი ვალდებულებანი ჩვენმა მეშახტეებმა ისე წარმატებით და კეთილსინდისიერად უნდა შეასრულონ, როგორც ეს მათ სჩვევიათ.

სიმღერა ბელადზე

რამდენი სხივი დაღვრილი მზეს სამყაროში ჰქონია,
რამდენ გადაშლილ სივრცესა ის სხივი ჩაუკონია,
რამდენი ღამე პირშავი, რიჟრაჟით გაქარწყლებულა,
რამდენი მნათი ვარსკვლავით ცის თაღი გაბრწყინვებულა;
თოვლის რამდენი ფანტელი ზეცას ფარფატით მომწყდარა,
რამდენი სახელრქმეული არსი ამ ქვეყნად ამდგარა,
ხეზე რამდენი ფოთოლი შემოდგომაზე დაცვივდა,
რამდენჯერ დასაბამიდან ქვეყნად გათბა და აცივდა, —
იმდენი ლექსი სჭირია დიდი ბელადის სარდლობას,
იმდენი ტკბილი სიმღერა, იმდენი ხალხის მადლობა,
იმდენი ქება დიადი, იმდენი შემოძახება,
იმდენი სამო ზანგებით საკრავთა ახმიანება;
იმდენი ვაშა-დიდება კაცობრიობის დამხსნელსა,
იმდენი შარავანდედით შემკობა სარდლის სახელსა,
იმდენი წიგნი ძლიერი, დიდი სარდლობის მნუსხველი,
წიგნის დამწერად უთვლელი ვაჟა, აკაკი, რუსთველი.
რამდენი სხივი დაღვრილი მზეს სამყაროში ჰქონია,
რამდენ გადაშლილ სივრცესა ის სხივი ჩაუკონია, —
იმდენ წელს, დიდო სარდალო, ყოფნას მზიურსა გინატრებ
იმდენ წელს შენი ქვეყანა სხივჩაუქრობი ბრწყინავდეს!

მთქმელი გრიგოლ ბელქანია
წალენჯიხის რაიონი, სოფელი ნაკიფუ

რ. მარგიანის შემოქმედების საღამო

14 მაისს მწერალთა კლუბში საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტმა გამართა ახალგაზრდობის საღამო, მიძღვნილი პოეტ რევაზ მარგიანის შემოქმედებისადმი. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. ფარულავამ.

[illegible]

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა კ. სურგულაძემ

და ქალთა 1-ლი საშუალო სკოლის მოსწავლე მ. უუბანეიშვილმა.

რ. მარგიანისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა პოეტმა გ. ქუჩიშვილმა. თავიანთი ლექსები წაიკითხეს ი. გრიშაშვილმა, ბ. კვერელავამ, გ. კაჭახიძემ, ნ. ჩაჩავამ, მ. მრევლიშვილმა [illegible]

[illegible] თეატრის მსახიობებმა.

საღამოს დიდძალი ხალხი დაესწრო.

საგაზაფხულო ხვნა-თესვა კოლმეურნეობებში

(საქართველოს სსრ მიწსახკომის 15 მაისის ცნობებით)

რაიონები	ხვნის გეგმის შესრულება პროცენტობით	თესვის გეგმის შესრულება პროცენტობით	რაიონები	ხვნის გეგმის შესრულება პროცენტობით	თესვის გეგმის შესრულება პროცენტობით
აფხაზეთის ასსრ	88,5	41,8	ბოგდანოვკა	60,6	65,1
აჭარის ასსრ	85,9	65,4	ახალციხე	100,3	100,2
სამხრეთ-ოსეთის ა. ო.	74,1	68,9	ადიგენი	114,1	100,4
აბაშა	97,9	57,7	ასპინძა	100,0	103,0
ცხაკაია	97,7	76,3	ხაშური	119,6	99,6
გეგეჭკორი	97,6	68,5	ქარელი	106,1	101,0
ზუგდიდი	94,2	54,5	გორი	101,3	96,7
ხობი	98,8	69,7	კასპი	104,3	96,0
წალენჯიხა	100,0	102,0	ბორჯომი	61,0	41,6
ჩხოროწყუ	100,0	88,1	წალკა	19,3	50,7
მახარაძე	95,7	63,1	დუშეთი	73,1	71,5
ლანჩხუთი	76,7	38,8	თეთრი წყარო	100,1	90,0
ჩოხატაური	92,9	57,3	თიანეთი	57,7	43,2
ფოთი	100,6	99,9	ყაზბეგი	17,8	17,8
ქუთაისი	100,1	76,3	ქლუხორი	70,8	70,3
წყალტუბო	99,1	59,2	გურჯაანი	86,8	79,0
სამტრედია	104,6	42,3	კაჭრეთი	108,7	100,2
წულუკიძე	100,0	51,9	სიღნაღი	109,8	96,5
ვანი	100,0	68,6	წითელწყარო	100,0	117,7
მაიაკოვსკი	100,0	70,3	თელავი	105,9	90,0
ზესტაფონი	115,2	77,2	ახმეტა	102,2	91,0
ჩხარი	67,7	67,7	ყვარელი	100,0	95,7
ჭიათურა	90,0	90,0	ლაგოდეხი	100,0	70,7
საჩხერე	67,8	72,7	თბილისი	133,8	98,1
ორჯონიკიძე	102,1	100,2	მცხეთა	116,0	98,1
ტყიბული	84,2	84,2	ყარაია	122,1	92,8
ო ნ ი	28,0	28,0	ბორჩალო	100,0	72,6
ამბროლაური	90,8	90,8	ბოლნისი	100,7	89,2
ცაგერი	74,6	74,6	საგარეჯო	96,6	96,1
ქვემო-სვანეთი	72,3	72,3	ბაშკიჩეთი	81,3	68,3
ახალქალაქი	71,6	59,5			

დაიწყო ჩაის ფოთლის კრეფა

გალი („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). დაიწყო ჩაის ფოთლის შერჩევითი კრეფა. სოფელ პირველი გალის სტალინური კონსტიტუციის სახელობის კოლმეურნეობამ პირველ დღეს მოკრიფა 340 კილოგრამი საუკეთესო ფოთოლი. ამ კოლმეურნეობის მეექვსე ბრიგადის წევრებმა ს. და ბ. ეზუგბაიებმა ერთ დღეს ოც-ოცი კილოგრამი მოკრიფეს.

კრეფას შეუდგნენ აგრეთვე ცხიროგალის ბაქრაძის სახელობის, ჰუბურხინჯის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობები.

გალის ჩაის ფაბრიკა შეუდგა ნედლეულის გადამუშავებას.

• • •

წულუკიძის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში დაიწყო ჩაის ფოთლის კრეფა. 14 მაისს საბჭოთა მეურნეობამ მოკრიფა და ჩაის ფაბრიკას ჩააბარა 524 კილოგრამი პირველი ხარისხის ჩაის ფოთოლი.

თესვის გეგმის შესრულება

ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეობებმა საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა 100,2 პროცენტით შეასრულეს. დათესილია 8.968 ჰექტარი.

უკრაინის სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებისათვის გასაგზავნად დამყნილია 320 ათასი ძირი ვაზი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 300 ათასისა.

გაშენებულია 34,8 ჰექტარი თეთრი აკაცია.

• • •

ქარელის რაიონის კოლმეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა. დათესილია 12.600 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12.498 ჰექტარისა.

თევზჭერის ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია

სოხუმი („კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან). სოხუმის თევზის ქარხნის კოლექტივმა (დირექტორი ამხ. ინაშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ბერაძე) სერიოზული წარმატება მოიპოვა. მან 17 მაისისათვის უკვე შეასრულა თევზჭერის ნახევარი წლის სახელმწიფო გეგმა. მაისის საწარმოო დავალება უკვე შესრულებულია 144 პროცენტით.

თევზის ჭერისა და მისი გადამუშავების საქმეში ბევრმა ისახელა თავი. მათ შორის გამოირჩევიან ამხ. შართავა, ნეგოდინა, ნარაკაძე, გაბესკირია და სხვ.

ქარხნის მიერ გადამუშავებული თევზი მაღალი ხარისხისაა. უკვე დაწყებულია თევზის გაგზავნა საქართველოს სამრეწველო რაიონებსა და დიდ ქალაქებში.

ს. შონია

საერთაშორისო თემაზე

15 მაისს საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობამ გვაუწყა, რომ ტყვე გერმანელი ჯარისკაცებისა და ოფიცრების მიღება ყველა ფრონტზე დასრულდა. გერმანიის კაპიტულაცია დამთავრდა მთელი მისი შეიარაღებული ძალების დატყვევებით. მართალია, ცალკე ჰიტლერელი გენერლების მხრივ იყო ცდები დაერღვიათ კაპიტულაციის აქტი. ჩეხოსლოვაკიასა და ავსტრიაში გერმანელი ფელდმარშალი შერნერი და გენერალი ველერი ცდილობდნენ ნება არ მიეცათ თავიანთი ჯარებისათვის წითელი არმიის ნაწილებს დანებებოდნენ. ასეთ ცდას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია და არაფერი არ შეუცვლია გერმანიის არმიის სამხედრო განადგურების საერთო სურათში, მაგრამ მან ერთხელ კიდევ მოგვაგონა, რომ გერმანელთა შორის კიდევ არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც გერმანიის მიერ ხელმოწერილ ყოველგვარ ფორმალურ აქტს განიხილავენ, როგორც ფარატინა ქაღალდს და ცდილობენ იგი გამოიყენონ თავიანთი მხეცური ჩვეულებისა და ვერაგობის დასაფარავად.

წითელი არმიის ჯარები იძულებულნი გახდნენ „გონზე" მოეყვანათ შერნერ-ველერის ჯგუფი. მაგრამ ნაცემ ფაშისტ ავაზაკთა შორის ესენი ერთად-ერთი როდი იყვნენ, რომლებსაც უყვართ ჩხუბის შემდეგ მუშტების ქნევა. ტყვეობაშიც კი განადგურებული ჰიტლერული ხროვის მეთაურები ცდილობენ განაგრძონ თავიანთი წაგებული თამაში.

ამ მხრივ დამახასიათებელია ინციდენტი გერინგთან, რამაც დემოკრატიული საზოგადოებრიობის საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

წინა მიმოხილვაში ჩვენ უკვე ვწერდით ამ უაღრესად უცნაურ ინციდენტზე, როდესაც უდიდეს ჰიტლერელ დამნაშავეს ტყვეობაში ისე შეხვდნენ, როგორც თითქოს წარჩინებულ სტუმარს, განსაკუთრებული პატივისცემით.

ლონდონის ოფიციალური წრეების წარმომადგენელმა, რომელმაც კომენტარი გაუკეთა ჩვენს მიმოხილვას, 14 მაისს განაცხადა, გერინგისადმი პატივისცემით მოპყრობა „სამხედრო წესის" საკითხიაო. ასეთი განცხადების აზრი ის არის, რომ, რაკი მკვლელს ფელდმარშლის მუნდირი აცვია, სამხედრო ეტიკეტით მის წინ გაჭიმული უნდა იდგე.

ამგვარმა განმარტებამ მხოლოდ გააბიაბრუა ისინი, ვინც ეს განცხადება გააკეთა, ვინაიდან იმავე დღეს მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების სარდალმა გენერალმა ეიზენჰაუერმა გამოაქვეყნა სპეციალური განცხადება, რომლითაც გამოხატა მწუხარება და მწვავედ დაჰგმო ტყვე ნაცისტებსა და გერმანიის მაღალი თანამდებობის ოფიცრებთან ყოველგვარი ძმაბიჭობის შემთხვევები.

ამერიკელი კომენტატორი ალან ჯექსონი აღნიშნავს, რომ ეიზენჰაუერს, უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში ჰქონდა ინციდენტი გერმან გერინგთან, როდესაც ამ ჰიტლერელ სამხედრო დამნაშავეს ხელის ჩამორთმევით შეხვდნენ და სადილი შესთავაზეს. მაშასადამე, ლონდონის მიერ სამხედრო წესის მომიზეზება უარყოფილია უაღრესად ავტორიტეტული სამხედრო პირის მიერ.

მაგრამ საქმე სადილი და სადილზე თავაზიანი საუბარი როდია. გერინგს მიეცა საშუალება კორესპონდენტებთან თავისი შეხედულებათა გამოთქმისა და ფოტოგრაფების წინაშე პოზირებისა. იგივე განმეორდა ამერიკის ჯარების მიერ დატყვევებულ გუდერიანთან. სხვათა შორის, ჰიტლერული გენერალური შტაბის ამ ნაცემმა უფროსმა, რომელიც ჰიტლერის პირად ბომბსაფარში დაატყვევეს ბერხტესგადენში, იუნაიტედ-პრესის კორესპონდენტებთან გამოთქვა უაღრესად იდიოტური აზრი, რომ „ომი მოგვაგონებს ფეხბურთის მატჩს, რომლის შემდეგაც მოწინააღმდეგენი ხელს ართმევენ ერთმანეთს და წარმატებას უსურვებენ".

რა თქმა უნდა, ყველა ეს გერინგები და გუდერიანები მხოლოდ იმას ელოდებიან, რომ მათ ხელს ჩამოართმევენ და წარმატებას უსურვებენ. მაგრამ წარმატებას რაში?...

აქ ჩვენ საქმე გვაქვს ყოფილ ჰიტლერელ მეთაურთა უფრო ღრმა ფარულ განზრახვებთან. უწინარეს ყოვლისა, მათ სურთ გადაირჩინონ ტყავი, თავიდან აიცილონ პასუხისმგებლობა მათ მიერ ჩადენილი აურაცხელი დანაშაულობისათვის, თავი მოგვაჩვენონ ჰიტლერული თვითნებობის თითქმის მსხვერპლად.

ლონდონური „ნიუს - ქრონიკლი" სწერს: „მოხვდება თუ არა ხაფანგში ერთ-ერთი ამ განგსტერთაგანი, იგი სულ ერთსა და იმავეს ჩიფჩიფებს შეურაცხყოფილი უბიწოებისა და პროფესიული მოვალეობის შესახებ".

ინგლისელი რადიოკომენტატორი პატრიკ ლეისი კითხვას იძლევა — თუ ყველა ეს შეპყრობილი ნაცისტი — გერმანელი ფელდმარშლები და ძმანი მათნი ცდილობენ თავი გაიმართლონ, ეს კი ყოველს მათს ნათქვამში გამოსჭვივის, რად უნდა ეძლეოდეთ მათ ამის საშუალება?

ყოველივე ეს არის მხოლოდ საქმის ერთი, ამასთან აშკარა, ნათელი მხარე. არის მეორე, უფრო სერიოზული მხარე, რომელზეც ნაკლები ხალისით სწერენ. ნამდვილად კი სწორედ იგი უნდა იდგეს, უწინარეს ყოვლისა, ხალხთა თვალწინ. ყველა ეს გერინგები, გუდერიანები და სხვა გაკოტრებული ფაშისტი მეთაურები ცდილობენ გამოიყენონ თავიანთი ჩანიშნული ბანქო იმ ვარაუდით, რომ გათიშვა გამოიწვიონ მოკავშირეთა შორის. ჰიტლერელი პოლიტიკური ყალთაბანდები არ ჰკარგავენ იმის იმედს, რომ მოახერხებენ ერთმანეთს წაჰკიდონ მოკავშირეები, თუნდაც გამარჯვების შემდეგ.

თავის დროზე ეს იყო გებელსის ყველა ნაწერის უკანასკნელი თეზისი და ამჟამადაც კი, ტყვეობაში ყოფნისას, ჰიტლერელი დამნაშავენი განაგრძობენ თავიანთი დანაშაულებრივი ხრიკების გამრავლებას, რაც ყველაზე უფრო საშიშია ყველა ხალხისათვის.

მათ იციან, რომ განადგურებული გერმანიის ფარგლებს გარეთ არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც განაგრძობენ ფაშისტური იდეოლოგიისა და ჰიტლერული პოლიტიკური კონცეფციების ორბიტში ტრიალს.

თურქულ გაზეთ „ტანს", რომელიც ლაპარაკობს თურქეთში ჩამღრძვალი ფაშიზმის ნაძირალებზე, გამოჰყავს დასკვნა, რომ, თუ ჰიტლერი აღარ არის, არიან კიდევ ადამიანები, რომლებიც ცოცხლობენ ჰიტლერის სულისკვეთებით. ისინი შეიძლება ბევრ ქვეყანაში ვიპოვნოთ. მათ შორის ყველაზე აშკარა პირებს ამჟამად იჭერენ მთელს განთავისუფლებულ ევროპაში. ჰიტლერული გერმანიის აშკარა ხელისშემწყობთ აპატიმრებენ ჩეხოსლოვაკიასა, ნორვეგიასა და ჰოლანდიაში. მარტო ამსტერდამში დაპატიმრებულია 10 ათასი კოლაბორაციონისტი, ოსლოში დაპატიმრებულია კვისლინგური პარტიის ათას ხუთასი წევრი.

თავიანთი ხალხების გამცემნი, ჰიტლერელთა დანაშაულობის მონაწილენი თანდათანობით წარსდგებიან სამსჯავროს წინაშე. რუმინეთში დაიწყო სამხედრო დამნაშავეთა პირველი ჯგუფის გასამართლება. საბერძნეთშიც მოხვდნენ ბრალდებულთა სკამზე ცალკეული ფაშისტი ავაზაკები. მაგრამ რამდენი სხვა მიიმალა?! დღემდე ხომ ლავალი არ გადაუციათ სათრანგეთისათვის, დღემდე ხომ გულმოდგინე „მეკანონეები" და თაღლითები იმაზე ფიქრობენ, შეიძლება თუ არა გერინგი სამხედრო დამნაშავედ იქნას გამოცხადებულიო?

თუ საჭიროა გერმანიის ფარგლებს გარეთ ჰიტლერული პოლიტიკის აშკარა განგრძობის მაგალითი, ამ მაგალითს იძლევა პოლონეთის რეაქციონური ხროვა ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ჰიტლერელები მოკავშირეთა გათიშვის თავიანთ გეგმებში დიდ იმედს ამყარებდნენ პოლონეთის საკითხზე. და უნდა ითქვას, რომ პოლონელი ემიგრანტი რეაქციონერები ყოველი ღონით ცდილობენ გაამართლონ გერმანელთა ეს იმედი.

ინგლის-ამერიკული პრესის ერთ ნაწილს თავი ისე უჭირავს, რომ მისთვის ნათელი არ არის გარემოებანი 16 პოლონელი მოღვაწის დაპატიმრებისა, რომელთა მთელი „მოღვაწეობა" იყო დივერსიები წითელი არმიის წინააღმდეგ და სსრ კავშირისადმი სიძულვილის პროპაგანდა. პოლონეთის ემიგრანტული ხროვა დაახასიათა, როგორც ხელმძღვანელები წინააღმდეგობისა განთავისუფლებული პოლონეთის მიმართ.

მათი დაპატიმრების გარემოებებში გასარკვევად საჭირო არ არის შორს წასვლა. საკმაოა მივმართოთ პოლონეთის პრესის იმ ნაწილს ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელიც ახლა, გერმანიაზე მოკავშირეთა გამარჯვების შემდეგ, აშკარად მოუწოდებს შეერთებულ შტატებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომისაკენ.

გაზეთი „ვიადომოსტი პოძენი", რომელიც კლივლენდში გამოდის, პირდაპირ სწერს: „ამერიკას ახლა ისეთი პოზიცია უკავია, რომ მას შეუძლია ბოლო მოუღოს ბოლშევიზმის ბატონობას. უფრო გვიან მდგომარეობა შეიძლება ამერიკისათვის არახელსაყრელი გახდეს და ბოლშევიზმის მოსპობის ამოცანა უფრო გაძნელდეს. იმედი ვიქონიოთ, რომ ამერიკის ლიდერებს ეს ესმით".

აი რისი იმედი აქვთ პოლონელ პროვოკატორებს, რომლებიც გერინგს უნერგავენ იმედს, რომ ჰიტლერული გერმანიის განადგურებით ჯერ კიდევ ყველაფერი დაკარგული როდი არისო.

გერინგებისა და გუდერიანების იმედს აცხოველებს აგრეთვე ის უცნაური ვითარება, რომელიც შეიქმნა მოკავშირეთა მიერ ოკუპირებული გერმანიის ნაწილში და რომელიც მთელი მსოფლიოს დემოკრატიული საზოგადოებრივი წრეების აღშფოთებულ გაკვირვებას იწვევს.

სადღაც ფლენსბურგში განაგრძობს არსებობას „გერმანიის მთავრობა ადმირალ დენიცისა", — ამ ხუთი დღის ფიურერისა ხუთიოდე ჰიტლერელი მინისტრის კაბინეტიანად.

ერთი ამ მინისტრთაგანი — შვერინ ფონ კროზიგი, გერინგის მსგავსად, ვრცელ ინტერვიუს აძლევს მოკავშირეთა კორესპონდენტებს. იგი არწმუნებს მოკავშირეებს, რომ ისინი „მთელ რიგ სიძნელეებს შეხვდებიან" გერმანიის მმართველობაში, თუ მათ არ ეყოლათ შუამავლები გერმანელ ხალხთან ურთიერთობისათვის. იგი თავის თავსა და დენიცს სთავაზობს ასეთ შუამავლებად.

როგორც სჩანს, საშუამავლო წინადადებას ზოგიერთი წრე კეთილგანწყობილად ხვდება. ყოველ შემთხვევაში 12 მაისს უეცრად სიტყვა წარმოსთქვა რადიოთი ჰიტლერელმა ფელდმარშალმა ფონ ბუშმა და განაცხადა, რომ მას გადაეცა კონტროლი ჩრდილო-დასავლეთ გერმანიისადმი.

„ტაიმსი" ამის გამო სწერს: „დენიცი ლაპარაკობს ისე, თითქოს მოწვეული იყოს სახელმწიფოს მეთაურად, ხოლო ბუში ამტკიცებს, რომ იგი დენიცის ბრძანებათა მიხედვით მოქმედებს".

რეიტერის სააგენტოს მიმომხილველი კიმპა იუწყება, რომ ლონდონში, როგორც სჩანს, არ არიან არავითარი კომპეტენტური ადამიანები, რომელთაც შეეძლოთ ახსნან ეს მდგომარეობა.

ირკვევა, რომ დენიცის ჯგუფი სარგებლობს ფლენსბურგის რადიოსადგურით და გადასცემს ცნობებს, რომლებიც მიმართულია მოკავშირეთა შორის განხეთქილების გამწვავებისაკენ.

ინგლისელი კორესპონდენტი დენის მარტინი, რომელიც ინგლისის მე-2 არმიის ჯარებთან იმყოფება, გადმოგვცემს, რომ ბუშის სიტყვა იმ გერმანელებს, რომლებსაც არ შეუძლიათ დაიჯერონ, რომ ისინი ნამდვილად განადგურებული არიან, უძლიერებს წარმოდგენას იმაზე, რომ მათი არმია ჯერ კიდევ ცოცხალია და რომ სსრ კავშირის წინააღმდეგ ბრძოლის მისია მისია მთელი ევროპის მისიას წარმოადგენს.

გერინგის ინციდენტი, გუდერიანის ინციდენტი, ბუშის ინციდენტი, ყველა ეს ინციდენტი ისე, როგორც შერნერისა და ველერის ცდა დაერღვიათ კაპიტულაციის აქტი, იმას მოწმობენ, რომ გერმანიის სამხედრო ხროვა და ჰიტლერელთა ბრბო არ გამოსთხოვებიან იმედს თავიანთი განადგურების შემდეგაც კი მზის სინათლეზე გამოტყვრნენ.

ევროპის ხალხებს დასჭირდებათ კიდევ იბრძოლონ მრავალი ღონისძიება, გამოიჩინონ დიდი სიფხიზლე და სიმტკიცე, რათა თავიანთი გამარჯვება დაიცვან ჰიტლერული გერმანიის ლეშის შხამისაგან.

„იზვესტია". 17 მაისი.

(მიღებულია რადიოთი საქართველოს რადიოკომიტეტის მიერ).

ტრუმენის განცხადება პრეს-კონფერენციაზე

ვაშინგტონი, 15 მაისი. (სატასი). ტრუმენმა სიტყვა წარმოსთქვა პრეს-კონფერენციაზე და დაასახელა ის პირნი, რომლებიც მოსკოვში წაჰყვებიან შეერთებული შტატების წარმომადგენელს მოკავშირეთა კომისიაში ზარალის ანაზღაურების საკითხებზე,—პაული და მისი თანაშემწე ლიუბინი.

ერთ-ერთმა კორესპონდენტმა ტრუმენს მოაგონა, რომ თავისი პირველი პრეს-კონფე...

...ალწევნას. ამ დიდმნიშვნელოვანი მისიის შესასრულებლად არჩეულ პირთა ნდობით უნდა მოეკიდოს ყველა ამერიკელი. ისინი სავსებით გამოსადეგნი არიან ამ ამოცანისათვის".

შეკითხვაზე, შემუშავებულია თუ არა შეერთებული შტატების პოზიცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეპყრონ გერმანიის გენერალურ შტაბს, ტრუმენმა უპასუხა, რომ ეს...

საფრანგეთის საკონსულტაციო ასამბლეის საზეიმო სხდომა გამარჯვების აღსანიშნავად

პარიზი, 16 მაისი. (სატასი). ფრანს პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ გუშინ საკონსულტაციო ასამბლეამ ზეიმით აღნიშნა საფრანგეთისა და მოკავშირეთა არმიების გამარჯვება. საფრანგეთის პარლამენტის ისტორიაში სხდომა პირველად იქნა ტრანსლირებული რადიოთი. ლუქსემბურგის სასახლე, რომელშიც სხდომა მიმდინარეობდა, სადღესასწაულოდ იყო მორთული და დეკორირებული გაერთიანებულ ერთა ალმებით.

გერინგი შეტანილია ომის დამნაშავეთა სიაში

ლონდონი, 16 მაისი. (სატასი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, გუშინ სამხედრო დანაშაულობათა გამომკვლევმა გაერთიანებულ ერთა კომისიამ შემდეგი განცხადება: „პრესაში გაზხილვასთან დაკავშირებით, სამხედრო დანაშაულობათა გამომკვლევი გაერთიანებულ ერთა კომისიას დავალებული აქვს განაცხადოს, რომ ჯერ კიდევ 1944 წლის ნოემბერში გერინგი შეტანილი იყო იმ პირთა პირველ სიაში, რომელთაც სამხედრო დანაშაულობანი ბრალდებათ. ეს სია მიღებული გაერთიანებულ ერთა კომისიის მიერ".

ინგლისის ჯარებმა ტყვედ წაიყვანეს მილხი და მანტოიფელი

ლონდონი, 16 მაისი. (სატასი). ლონდონის რადიო გადმოგვცემს, რომ გერმანიის გენერალ-ფელდმარშალი მილხი და მე-3 სატანკო არმიის სარდალი გენერალ-ლეიტენანტი მანტოიფელი ტყვედ წაიყვანეს ინგლისელთა ჯარებმა და ისინი მოთავსებული არიან ბანაკში ლუნებურგის მახლობლად.

ჰიტლერელი აგენტების დაპატიმრება პრაღაში

პრაღა, 16 მაისი. (სატასი). აქ დაპატიმრებულია ეგრეთწოდებული „ბოჰემიისა და მორავიის პროტექტორატის" (ასე უწოდებდნენ ჰიტლერელები მათ მიერ ოკუპირებულ ჩეხოსლოვაკიას) მარიონეტული „პრეზიდენტი" ემილ გახა. დაპატიმრებული არიან აგრეთვე მარიონეტული მთავრობის ყოფილი „პრემიერ-მინისტრი" და „იუსტიციის მინისტრი" იაროსლავ კრეიჩი, ყოფილი „პრემიერ-მინისტრი" რიჰარდ ბინერტი, „შინაგან საქმეთა მინისტრი" ჰენრიხ კამენიცკი, „ფინანსთა მინისტრი" იოსებ კალფუსი, „სოფლის მეურნეობის მინისტრი", ადოლფ გრუბი და ჩეხის ფაშისტური პარტიის ხელმძღვანელი გენერალი რუდოლფ გაიდა.

გაზეთი „ტაიმსი" ჰიტლერელ ფელდმარშალ ბუშის განცხადების შესახებ

ლონდონი, 14 მაისი. (სატასი). 12 მაისს გერმანიის ფელდმარშალმა ერნსტ ფონ...

ამერიკის პრესა ომის დამნაშავეებისადმი დამოკიდებულების შესახებ

ბიბლიოგრაფია

ორი სახელმძღვანელო

„ქართული ენა", III კლასისა—ავტორები: შ. თაბუკაშვილი, ვ. რამიშვილი, თ. ჩერქეზიშვილი. რედაქტორები: ვ. ეგნატაშვილი, აკად. ვ. თოფურია. სახელგამი, 1944.

„ქართული ენა" IV კლასისა—ავტორები: შ. თაბუკაშვილი, ვ. რამიშვილი, თ. ჩერქეზიშვილი, რედაქტორი გ. ქიქოძე. სახელგამი, 1944.

აღნიშნული სახელმძღვანელოები მიმდინარე სასწავლო წელს პირველად გამოიცა. ისინი უახლოვდებიან ცნობილი ქართველი პედაგოგის ი. გოგებაშვილის „ბუნების კარს", რომელიც ათეული წლების მანძილზე დაწყებითი სკოლის მოწაფეთა საყვარელი სახელმძღვანელო იყო.

III და IV კლასების ქართული ენის სახელმძღვანელოები თითქმის ერთი წელია ხმარებაშია. სკოლამ იგრძნო, რომ მას ამჟამად აქვს ქართული ენის კარგი სახელმძღვანელოები, შედგენილი დიდაქტიკური პრინციპების მიხედვით, თემატიკურად ნაირსახოვანი, ბავშვებისათვის მისაწვდომი ენითა და ფორმით წარმოდგენილი.

III კლასის ქართული ენის სახელმძღვანელო კარგად ითვალისწინებს ბავშვის ფსიქოლოგიას, მის ინტერესთა სამყაროს, ბავშვის ფიზიკურ და გონებრივ შესაძლებლობას. ავტორებს შეურჩევიათ ისეთი მასალა, რაც მოწაფეს გაუმდიდრებს და გაუმახვილებს ლექსიკას, დაუფლებს მეტყველების კულტურას, აღზრდის სრულყოფილ საბჭოთა მოქალაქედ.

სახელმძღვანელოს წამყვანი თემა საბჭოთა პატრიოტიზმია. მასალა მრავალსახოვანია და...

...ნაარსის მიხედვით შეიძლება მოთხრობის შედგენა. საკმაო რაოდენობით არ არის წარმოდგენილი ბუნების მხატვრული აღწერები. მხედველობაში გვაქვს, მაგალითად, რთველი შემოდგომაზე, ზამთარი, გაზაფხული. კარგი იქნება, თუ შემდეგი გამოცემისათვის სახელმძღვანელოდან ამოღებული იქნება: „გლეხი ბოსტაშვილი" და ნაწყვეტი დე-ამიჩის მოთხრობიდან „პაწია მამულიშვილი", რადგან პირველი მათგანი მნიშვნელოვან მხატვრულ ღირებულებას არ წარმოადგენს, ხოლო მეორე უცხოეთის ცხოვრებიდან არის აღებული მაშინ, როცა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებიდან უფრო მეტი მამულიშვილური ეპიზოდები მოგვეპოვება. კარგი იქნება თუ III კლასის სახელმძღვანელოში შეტანილი იქნება: ხალხური ზღაპარი „მელია და ლათვი", სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკები (ასაკის მიხედვით მისაწვდომი) და სხვ. მიზანშეწონილი იქნება გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრების აღწერას დაერთოს მათი სურათები.

IV კლასის ქართული ენის სახელმძღვანელო გადატვირთულია დიდი მოთხრობებით, რომელთაც დამუშავების გასაადვილებლად თანდართული არა აქვს დასათაურება. ლექსი „რა...

...სახელმძღვანელოს ნაკლად ის უნდა ჩაითვალოს, რომ ზოგიერთ მასალას არა აქვს დასამუშავებელი კითხვები. საჭიროა ყველა მასალას და განსაკუთრებით ლექსებს ჰქონდეს კითხვები. ილუსტრაცია სუსტია. მეტი და უკეთესი სურათებია საჭირო. სასურველია დაემატოს ისეთი სურათები, რომელთა მი-...

...სახელმძღვანელო უნდა განიტვირთოს აღწერითი ხასიათის მასალებისაგან და შეივსოს ფოლკლორულით. საჭიროა ზოგიერთი მოთხრობის უკეთ დასურათება.

გ. ზუმბაძე

ვაკის XI საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე

საზომი ხელსაწყოების გამოფენა

ზომა-წონის სახელმწიფო სამსახურის არსებობის 100 წლისთავის იუბილეს გამო თბილისში საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საზომი ხელსაწყოების საქმეთა კომიტეტის რწმუნებულის სამმართველომ მოაწყო სპეციალური გამოფენა, რომელიც ასახავს ზომა-წონის ტექნიკის განვითარებას განვლილი ასი წლის მანძილზე.

გამოფენა ღია იქნება 1 ივნისამდე ყოველდღე, გარდა კვირადღეებისა, საღამოს 6 საათიდან 9 საათამდე. (ჯაფარიძის ქ. № 18).

დაბის კეთილმოწყობა

დაბა ხარაგოულის მოსახლეობის ინიციატივით დაბის ტერიტორიაზე 500 ძირი ცაცხვი, 100 ძირი წიწვიანი ჯიშის და 1,000 სხვადასხვა ჯიშის მცენარე დაირგო.

სწარმოებს მდინარე ჩხერიმელას მარცხენა ნაპირის გამაგრება.

ამჟამად გაცხოველებული მუშაობაა ბაღების კეთილმოწყობისათვის.

ქ. სახვაძე

ვ. ანჯაფარიძის სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავი

21 მაისს კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართება სტალინური პრემიის ლაურეატის, რესპუბლიკის სახალხო არტისტ ვერიკო ანჯაფარიძის სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავის აღსანიშნავი საღამო. პროგრამაშია თითო მოქმედება პიესებიდან: „გიორგი სააკაძე", „მარგარიტა გოტიე", „ურიელ აკოსტა", „ნინოშვილის გურია", „ოტელო".

ილია სიხარულიძის შემოქმედების საღამო

შაბათს, 19 მაისს, მწერალთა კლუბში შესდგება საბავშვო მწერლის ილია სიხარულიძის შემოქმედების საღამო. მოხსენებას ი. სიხარულიძის შემოქმედების შესახებ წაიკითხავს პედაგოგი ა. ხუნდაძე.

სიტყვებით გამოვლენ ნ. ნაკაშიძე, პროფესორი გ. თავზიშვილი, ე. ასტვაცატუროვი, ნ. ჩაჩავა, დ. კასრაძე, გ. კაჭახიძე, პ. ჭანიშვილი, ა. ხახუტაშვილი, ა. ღვინიაშვილი.

ილია სიხარულიძის ლექსებს წაიკითხავენ სკოლამდელი ასაკის ბავშვები.

დასწრება თავისუფალია.

„ხევისბერი გოჩა"

პლეხანოვის თეატრს (ლენინის რაიონი) ამჟამად ჰყავს მუდმივი დასი, რომელიც შესდგება პროფესიონალ მსახიობებისაგან. დასს ხელმძღვანელობს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რეჟისორი გ. სულიაშვილი.

ამ დღეებში თეატრმა პრემიერად აჩვენა ს. შანშიაშვილის პიესა „ხევისბერი გოჩა", რომელიც მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

ლექციები

18 მაისს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში აგიტკოლექტივის ხელმძღვანელთათვის შესდგება ამხ. პავინსკის ლექცია რუსულ ენაზე. თემა: „უშიშროების საერთაშორისო ორგანიზაციის შესახებ".

18 მაისს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პარტკაბინეტში (საბჭოს ქ. № 134) შესდგება დოცენტ ნ. ცხაკაიას ლექცია ქართულ ენაზე. თემა: **„გერმანიის კაპიტულაცია და საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა"**.

თეატრებში

სახელმწიფო ოპერა — 18/V — „ალი", 19/V — „პიკის ქალი". **რუსთაველის სახელობის** — 18/V — „სამშობლო", 19/V — „ხევისბერი გოჩა". **მარჯანიშვილის სახელობის** — 18/V — „უმზითვო", 19/V — „პირველი ცოლის მორჯულება". **გრიბოედოვის სახელობის** — 18, 19/V — „კრემლის კურანტები". **მუსიკალური კომედიის** — 18/V — „მსახიობის სიყვარული", 19/V — „ხაჯარათი". **ხანკულტურის** — 19/V — „პატიოსნებისათვის". **სომხური** — 18/V — „დაქცეული ოჯახი", 19/V — „დიდი ქორწილი". **ახუნდოვის სახელობის** — 18/V — „მაშდი იბად", 19/V — „აშუღ ყარიბი". **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — 18/V—„ტირიფის ქვეშ", 19/V — „რომეო და ჯულიეტა". **რუსული** — 18, 19/V — „შეხვედრა ბნელში".

კინოებში

18 მაისს: რუსთაველის სახელობის — „ედისონი". **ოქტომბერი** — „ზღვის ქორი". **დამკვრელი** — „მდიდარი საცოლე". **კომკავშირელი**—„მხიარული ახალგაზრდობა", **სპარტაკი**—„ბუდაპეშტი". **ლუქსემბურგის სახელობის** — „სალტან მეფის ზღაპარი". **26 კომისრის სახელობის**—„მზიური ველის სერენადა".

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

თამარ და ავქსენტი რაფავები იუწყებიან ალექსანდრე გუგუნავას ძმის ბოჩო ილარიონის-ძე გუგუნავას გარდაცვალებას.

კატო კაპანაძე დედით ნინოთი, შვილიშვილებით: ვაჟა, მარინე, გივი, რძლით ლა-...